# დროება

## ყოველდღიური სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 180 ხუთშაბათი, 14 აგვისტო 1909 წ. № 180

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვი, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დაბეჭდვა განცხადებისა მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახება. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



# დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

## სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ აგვისტოდან წლის ბოლომდე—4 მ. 40 კ., ერთი თვით 1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე, საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.


თ-დი დიმიტრი დავითის ძე ჩოლოყაშვილი აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 15 აგვისტოს, ძვირფას დისწულის

**ნინო როსტომაშვილის**

გარდაცვალების მეშვიდე დღეს, წმ. ნინოს სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე. წირვის შემდეგ პანაშვიდი. (1—409—1)

თ-დი დიმიტრი ჩოლოყაშვილი, ივანე და ელისაბედ როსტომაშვილები უღრმესს მადლობას უცხადებენ ყველა იმათ, ვინც წერილებით, დეპეშებით ან პირადის დასწრებით თანაგრძნობა გამოუცხადათ პირველის საყვარელ დისწულის, ხოლო დანარჩენთა საყვარელი შვილის ნინო როსტომაშვილის უდროოდ გარდაცვალების გამო. (1—410—1)


ექიმ ვ. ლამბაშიძის

**სანატორიუმი**

გაიხსნა 15 ივნისს. არის რამდენიმე ადგილი მოზრდილთათვის საერთო ოთახებში.

დაწვრილებითი პირობები წერილით ბორჯომს.

Въ мѣст. Боржомъ. Платформа Гамбашидзе, Санаторіумъ Гамбашидзе. (0—28)

**ექიმი** კ. თ. ტუღუშაშვილი ქუთაისში იღებს მინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, სამარდე ცილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., ხანელი ფირალოვისა. (70—43.—37)

**ექიმი** გ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. გრიბოედ., N 9. (უ)

**ექიმი** კაკიტელაშვილი ქუთაისში ივლისიდან ავადმყოფებს მიიღებს სიომხის ქუჩაზე, თოფურიასეულ სავადმყოფოსთან. მიიღებიან მინაგ., ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობით სნეულნი. დილით —11 ს. საღამოთი 5—7 ს. (100—6.—41)

**ექიმი** კბილისა ს. ა. ცეიტლინი. კბილის და პირის ავადმყოფობანი. ხელოვნური კბილები. ავადმყ. მიღება დილის 9-დან საღამოს 7 საათამდე. მიხეილის პრ., ს. N 22 (სემიონოვის ქ. კუთხე, N 3). შესავალი სემიონოვის ქ. (100—1010—3)

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 11—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმები** კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი და მ. ო. სუხარევსკი იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბოწინის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—225)

**ექიმი** კბილისა ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსა მ. ვედევანიშვილისა. იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—7 საათ. ვერა, ყოლოდანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (9. 135)

**საფერშლო-საბებიო სკოლა.** ბაქოში. ექიმ ნეიმტუბეს სამკურნალოსთან 100 აგვ. „კვისისანა". თხოვნების მიღება 1 სექტემბრამდე. (5—ფ.—3)

ახლად გახსნილი ტფილისის

**კერძო სამკურნალო**

გარდა ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიაჯიანცისა, ტელეფ. 696.

ი. გ. ფელდორფი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

გ. დ. ლაზარაშვილი—პირველ სექტემბრამდე შეჩერდა მიღება.

ბ. ა. პოპოვი—პირველ სექტემბრამდე შეაჩერა მიღება.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, $11^{1/2}$—$12^{1/2}$ ს., სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

ი. გ. გოგსაძე—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

გ. ს. მუსხელიშვილი—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კოხხილიუმი მორიგებით. (წლ.—6.—132)

**რესტორანი „იუჟანე"**

თავ.-აზნაურ. საზაფხულო თეატრი და ბაღი

ორი თავი სადილი 60 კ. სამი—80 კ. ოთხი—1 მან. ბაღში უკრავს ოპერის ორკესტრი ბ. ვ. ფალიაშვილის ლოტბარობით.

**სინემატოგრაფი**

ბაღში შესვლა უფასოდ. (2—406—2)


კვირას, 16 აგვისტოს, სოფ. ქვემო-ქვიტირში ი. ჩიტაშვილის სახლში ადგილობრივ წიგნთსაცავ-სამკითხველოს სასარგებლოდ ქუთ. დრამ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

I

„დედაკაცის საქმე"

კომ. ვ. გუნიასი.

II

„ოქროს ევა"

თარგ. ა. ცაგარლისა.

წარმოდგენა დაიწყება საღამოს $8^{1/2}$ საათზე. (1—1)


ქ. ქუთაისში.

**თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში**

დამზადებულია დიდ-ძალი ქართული და რუსული სახელმძღვანელო, სამეცნიერო, სალიტერატურო, სახალხო და საყმაწვილო წიგნები, ქართული და რუსული მოძრავი ანბანი, რვეულები ქართულ და რუსულ წერისათვის. აქვე იყიდება ოჯახსა და სკოლაში საკითხავი ქართული წიგნი „გუთანი", შედგენილი ქუთაისის ქართულ გიმნაზიის მასწავლებელთა მიერ.

სასწავლებლებს, ბიბლიოთეკებს, საქველ-მოქმედო დაწესებულებებს და წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 10%. (25—6—4)


**ტფილისის** ქართველ თავად-აზნაურთა **გიმნაზიის საპედაგოგიო საბჭო** ამით აცხადებს, რომ მომავალ საზაფხულო წლისთვის (1909—1910) ვაკანსიები იქნება **პირველ განყოფილებაში, მეოთხესა და მეხუთე კლასში.**

საზოგადოდ ეგზამენები დაიწყება აგვისტოს 19-ში, ხოლო პირველ განყოფილებაში—25-ში. თხოვნა და საჭირო დოკუმენტები (მეტრიკის, აცრის და ჩამომავლობის მოწმობა) წარმოდგენილ უნდა იქმნას აგვისტოს 10-თვის.

გიმნაზიის მოწაფეებმა, რომელთაც აქამდის არ შემოუტანიათ გასულ სასწავლო წლის ფული, გამოცხადებისათანავე უნდა წარმოადგინონ. წინააღმდეგ შემთხვევაში გამორიცხულად ჩაითვლებიან.

ახლად შემომსვლელნი მოვალენი არიან, სწავლის ფული წარმოადგინონ მიღებისათანავე.

წლიური გადასახადი განყოფილებაში არის 30 მან., გიმნაზიურ კლასებში—40 მანეთი.

რადგან მოწაფეთათვის სავალდებულოა მთავრობის მიერ დამტკიცებული ფორმა, საპედაგოგიო საბჭო სთხოვს მოწაფეთა მშობლებს და მზრუნველებს, მობრძანდნენ გიმნაზიის კანცელარიაში და გაიცნონ ფორმა.

კანცელარია ღია იქნება ოთხშაბათობით და შაბათობით, დილის 10—12 საათზე. (3—6.—3)

**დ. სურამი**

კვირას, ამა თვის 16-ს, პარკში ქართულ თეატრის არტისტი **ნატ. გაბუნია-ცაგარლისა** გამართავს წარმოდგენას და სეირნობას.

წარმოდგენილი იქნება

**ბაიყუში**

კომ. 2 მოქ. ა. ცაგარლისა.

ГОЛУБОЙ БАНТЪ

კომ. ხენოვისა, რუსულად.

**ცეკვა და სეირნობა სანუქრებით სილამაზისა და საუკეთესო ტანისამოსისათვის.**

შუშხუნები. კონფეტტი. სერპანტინი. ადგილების ფასი 2 მან. 30 კაპ.-მდე. (3—2)


**ექიმი** ვ. ლამბაშიძე გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. შესვლა საღამოთით 6—7 ს. კვირის გარდა. (უ)


**ქუთაისში**

30 ივლისს საღამოს 8 საათიდან დაიკარგა ნიკოლოზ ანდრიას ძე გალოგრეს მოსამსახურე ქალი ლიზა ნინაშვილი (გურულია). მნახველს ვთხოვთ, შეგვატყობინოს: ორპირის ქ. საკუთარი სახლი. **ნიკოლოზ გალოგრე.** (3—კვ.—2)

## ტფილისი 14 აგვისტო

ამ ბოლო დროს „ჩანგი" ჩაგვცივდა—„დროება" რეალურმა პოლიტიკამ გაიტაცაო, ადვილად მისაღწევ საქმეს ეძებსო და სხვა. „ნამდვილი დემოკრატი ასეთ მიზანს ვერ დაისახავს, ხალხის ინტერესების ნამდვილი დამცველი ასეთ გზას ვერ დაადგებაო" და სხვა. საქმე შეეხება ერობის შემოღებას ჩვენში. „ჩანგი" გვეკიჟინებს საერობო პროგრამის სივიწროვეს, დემოკრატიულ მისწრაფებათა შეზღუდვას და სიამაყით საკუთარ ფართო პროგრამის დროშას აფრიალებს.

არ ახალია, ძველია... კარგად გვახსოვს, ამ სამი წლის წინადაც „ჩანგის" წინაპრებმა ასეთივე კიჟინი მორთეს, როცა საერობო რეფორმაზე თათბირები გაიმართა ჩვენში. რად გვინდა ერობაო, როცა დემოკრატიულ რესპუბლიკის დაარსებას მოველით დღედღეზეო! საერობო სათათბიროებს მაშინ მათმა მიმდევრებმა მედგარი ბოიკოტი გაუმართეს და ზოგან კრებები სრულიად მოსპეს... მაშინდელი გატაცება კიდევ გვესმის: სარევოლიუციო ჟამი იყო და მაქსიმალიზმი მეფობდა. მაგრამ, თუ ახლაც ჭკუას ვერ ვისწავლიდით და წინანდელ დემაგოგობასა და ფუქსავატ დოქტრინიორობას ავყვებოდით, ეს არ გვეგონა, ეს აღარ გვესმის. სრულ ჭეშმარიტებას ბრძანებს „ჩანგის" მეთაური: როგორც ის იქცევა, ნამდვილი დემოკრატი და ხალხის ინტერესების დამცველი იმას არ იზამს, იმ გზას არ დაადგება.

მართლაც, რას გვეუბნება „ჩანგი"? „ჩვენი საერობო პროგრამის განხორციელება შეუძლებელია, თუ არ განხორციელდა მთელი ჩვენი პროგრამა-მინიმუმი და უკუღმა, ჩვენი საერობო პროგრამის სავსებით განხორციელება ნიშნავს ჩვენი პროგრამა-მინიმუმის განხორციელებას"-ო. ვკითხოთ „ჩანგის" დღევანდელ მებაირაღტრეს—რას ნიშნავს ეს სიტყვა? განა ესეც ბოიკოტი არაა? თქვენი პროგრამა-მინიმუმის განხორციელებამდე ხომ კიდევ დიდი დრო გაივლის და მანამდის ერობაზე ფიქრს თავი უნდა დავანებოთ? რომ აქ საქმე გვაქვს ფუქსავატ დოქტრინიორობასთანა და დემაგოგიასთან, რომ „ჩანგის" დღევანდელი პოზიცია ამ საკითხში იმავ ბოიკოტის პოზიციას უდრის, ნათლადა სჩანს „ჩანგის" განმარტებიდან, თუ როგორ ესმის ერობის კომპეტენცია. ეს კომპეტენცია განუსაზღვრელი უნდა იყოსო, ერობას საკანონმდებლო უფლება უნდა ჰქონდესო, ყველა **პოლიტიკური** საკითხები უნდა შედიოდეს ერობის სფერაშიო და სხვა. „ჩანგს", რასაკვირველია, კარგად ესმის, რომ დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებაში ამგვარ ერობაზე ლაპარაკი ნამდვილი უტოპიაა, ტყუილ-უბრალო სიტყვის რახა-რუხი და ნუ თუ მაინც საჭიროდ სცნობს ფანტაზიების დროშის აფრიალებას, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ იმდროინდელ დემაგოგობისაგან ვერ დაუხწევია თავი...

განა ჩვენ-კი არ ვიცით, როგორი უნდა იყოს იდეალური ადგილობრივი თვითმართველობა და ნამდვილი დემოკრატიული ერობა? მაგრამ საკითხი ამ ჟამად ამაში ხომ არ მდგომარეობს, რომ ჩვენ-ჩვენი პროგრამმა-მინიმუმები გამოვფინოთ! საკითხი შემდეგია: რუსეთის **დღევანდელი მთავრობა** აპირებს ჩვენში ერობის დაწესებას და ჩვენი მოვალეობაა ვეცადოთ—რაც შეიძლება უფრო ხეირიანი ერობა იქნას დაწესებული, რაც შეიძლება დღევანდელ პირობათა მიხედვით და არა ჩვენის მინიმუმ-პროგრამების მიხედვით. „ჩანგის" წარმოდგენაში ორი უკიდურესი აზრია იხატება მხოლოდ: ან დახავსებული რეალური პოლიტიკა, „ბოძების" პოლიტიკა (ესე იგი, რასაც გიწყალობებს მთავრობა, იმის კმაყოფილი უნდა იყო), ან არა და პროგრამა-მინიმუმი. რა-კი ჩვენ ამ უკანასკნელზე არ ვლაპარაკობთ, მაშასადამე, „ბოძების" პოლიტიკის მიმდევარნი ვყოფილვართ! ასეთია „ჩანგის" ლოღიკა. მას ვერ წარმოუდგენია სხვა პოზიცია,—ის პოზიცია, რომელიც აუცილებელია სწორედ ნამდვილ დემოკრატისთვის. ამ პოზიციის ასახსნელად მივმართოთ მაგალითებს.

დღევანდელი რუსული ერობა უკიდურეს წოდებრივ პრინციპზეა აგებული, იგი პირდაპირ თავად-აზნაურული დაწესებულებაა. საარჩევნო უფლება დამყარებულია მსხვილ სადგილ-მამულო მფლობელობის ცენზზე. ჩვენ („დროება"-ზე ვლაპარაკობთ) ამგვარ ერობის წინააღმდეგნი ვართ და მოვითხოვთ ისეთ საარჩევნო პრინციპის აღიარებას, რომელიც უწოდებრივობას შემოიტანს. სახელდობრ ვამბობთ: საარჩევნო უფლება უნდა მიენიჭოს ყველას, ვინც ორიოდე გროშსაც-კი იხდის ერობის სასარგებლოდ. ეს იმასკი არა ნიშნავს, რომ ჩვენ პრინციპიალური მომხრენი ვართ ცენზისა, არა—ჩვენ საყოველთაო საარჩევნო უფლების მომხრენი ვართ როგორც სახელმწიფო, ისე ადგილობრივ თვითმართველობის დაწესებულებებში; მაგრამ ცენზის უკიდურეს შემცირებას ვურიგდებით, რადგან გვესმის, რომ დღეს პროგრამა-მინიმუმზე-კი არ არის ლაპარაკი, არამედ პრაქტიკულ რეფორმის შემოღებას ეპირებიან. მეორეს მხრით, განა ჩვენი უმცირესი ცენზი „ბოძების", „ადვილ მისაღწევის" პროგრამასა ჰგავს? განა „ჩანგმა" არ იცის, რომ დღევანდელ სათათბიროსთვის ასეთი უმცირესი ცენზი „რეალური პოლიტიკა" არ არი'ა?!

მეორე მაგალითი: 1890 წლის ერობამ შესამჩნევად შეამცირა საერობო კომპეტენცია 1864 წლის კომპეტენციასთან შედარებით. ჩვენ მოვითხოვთ წინანდელ კომპეტენციას აღდგენას ზოგიერთ დამატებით. ეს იმას-კი არა ნიშნავს, რომ ჩვენ მომხრენი ვიყოთ საერობო მოღვაწეობის შეფარგვლისა, არამედ იმას, რომ დღევანდელ პირობებში ისიც საკმარისი იქნება, თუ ძველი აღვადგინეთ. „ჩანგმა" ისიც იცის, რომ დღევანდელ სათათბიროსათვის 1864 წლის ერობაც არაა რეალური პოლიტიკა.

ჩვენი პოზიცია საერობო საკითხში ნათელია და გადაჭრით ვაცხადებთ, რომ დღევანდელს პოლიტიკურს კონიუნქტურაში ყველა დემოკრატმა ამავე გზით უნდა იაროს. ჩვენ ვამტკიცებთ და ვქადაგობთ და გვსურს ადგილობრივ საზოგადოებას, ადგილობრივ ლიბერალებს ჩავაგონოთ ის აზრი, რომ დღევანდელი საერობო დებულება, რომელიც შიდა რუსეთში მოქმედებს, არ ვარგა. ჩვენ ვუჩიჩინებთ ცენზის შემცირების საჭიროებას უკიდურეს მინიმუმამდე, ჩვენ ვუჩვენებთ წოდებრიობის პრინციპის მავნებლობას, ჩვენ ვურჩევთ საერობო კომპეტენციის გაფართოვებას და ადმინისტრაციის აპეკის მინიმუმამდე შემცირების საჭიროებას და სხვა. ერთის სიტყვით, ჩვენი მეცადინეობაა ადგილობრივი საზოგადოებრივი აზრი 1864 წლის დებულებისაკენ გადავხაროთ საგრძნობელის ცვლილებითაც; რადგან გვესმის, რომ დღეს ჩვენთვის, ჩვენი ქვეყნისათვის, აუცილებელი საჭიროებაა ერობა, ამიტომ ვცდილობთ შესაძლებელზე მივუთითოთ და არა გზა-კვალი ავუბნიოთ ულაგამო მაქსიმალიზმით. როცა დრო იყო, როცა ლაპარაკი იყო სახელმწიფო რეფორმებზე, სახელმწიფო წესწყობილების რადიკალურ შეცვლაზე, მაშინ ჩვენ ვქადაგობდით ფართო დეცენტრალიზაციას, მოვითხოვდით **პოლიტიკურ** უფლებებს ადგილობრივ საოლქო თვითმმართველობო დაწესებულებებისათვის. სწორედ მაშინ სასაცილოდ ვყავდით აგდებული „ჩანგის" წინაპართ; ახლა კი როცა საქმე უბრალო სამეურნეო დაწესებულების შემოღებაზე მიდგა, როცა მთავრობა 1890 წლის დებულების ღირსადაც არ გვხდის და 1903 წლის დებულების მოცემას გვიპირებს (რომელიც დასავლეთ გუბერნიებშია), მაშინ „ჩანგი" ავტონომიების დროშის აფრიალებას შესდგომია. სხვა რამეთი ვერ ავხსნით ამ საკვირველ მეტამორფოზას, თუ არ დაჟინებულის სურვილით, რომ „დროებას" არ დაესწრაფოს და „ნამდვილ დემოკრატის" სახელი დაისაკუთროს...

იმავ „ჩანგის" ქვედა სართულში სათათბიროს წევრის კ. ჩხეიძის საინტერესო წერილები იბეჭდება. სხვათა შორის ბ-ნი ჩხეიძე სჩივის, რომ ადგილობრივი საზოგადოება და დაწესებულებანი, ადგილობრივი მოღვაწენი არასოდეს არავითარ მასალასა და ცნობებს არ აწვდიან. ჩივილი სამართლიანია, მაგრამ აი სწორედ აქ ითქმის audiatur et altera pars. როგორ უნდა მიეწოდის ცნობები და მასალები, როცა არ იცი, როგორ იქნება მიღებული შენი ცნობები? წარმოვიდგინოთ, რომ ვისმეს სურს მიაწოდოს დეპუტატს ჩხეიძეს მასალა და ცნობები იმის დასამტკიცებლად, რომ ჩვენში საერობო ცენზის ერთი ათად შემცირებაა საჭირო. თუ ისიც იმავ აზრისაა ერობაზე, საერობო პროგრამაზე, როგორის აზრის ზედა სართულის პუბლიცისტია, ხომ ცხვირპირში მოგვაყრის ჩვენ ცნობებსა და მასალას? რას მიქვია ცენზიო, მე ვარ მომხრე საყოველთაო, პირდაპირ, თანასწორ და ფარულ საარჩევნო უფლებისაო!.. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ კ. ჩხეიძე ამას არ იზამს, რადგან, ცოტა არ იყოს, დედა-მიწაზე სდგას და ჰხედავს, რა დღეებია „ჩვენი ცხოვრების დღეები"; ჰხედავს და ამიტომ სათათბიროში მხარს დაუჭერს ისეთ საერობო რეფორმას, რომელიც, თუმცა პოლიტიკურ ავტონომიებს არა ჰგავს, მაგრამ აწ არსებულ ერობას ბევრად სჯობს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ესე იგი, თუ ისიც დეკლარაციებს შეუდგა, „ჩვენი საერობო პროგრამა განუყოფელი ნაწილია ჩვენი პროგრამა-მინიმუმისა"-ო და სხვა, თუ ასეთ სიბრძნის ქადაგებას შეუდგა მაშინ, როცა სათათბირო რეალურ პროექტის განხილვაში იქნება, ვნების მეტს არაფერს არ მოუტანს ჩვენს ქვეყანას, როგორც ვნების მეტი არაფერი მოაქვთ იმ „შეურიგებელ" დემოკრატებს, რომელნიც დახმარების მაგიერ გზა-კვალს უბნევენ საზოგადოებრივ აზრს და საერობო პროექტის განხილვის დროს, როცა უკიდურეს რეაქციონერის წინააღმდეგ შეერთებული ბრძოლა გვჭირია, „უკიდურეს დემოკრატიზმის გაბატონებაზე" და „ყოველგვარ ფარგლების" მოშორების საჭიროებაზე ბაქი-ბუქობენ.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

გუშინდელ ნომერში, რუსეთის ქრონიკაში, მოვიყვანეთ საერო განათლების სამინისტროს საქიმო განყოფილების მიერ შედგენილი სტატისტიკა მოსწავლეთა თვით-მკვლელობის შესახებ $190^{8}/_{9}$ სამოსწავლო წელს. გაზეთ „რეჩ"-ში დაბეჭდილია თვითმკვლელთა მიერ დატოვებულ ზოგიერთ ბარათის შინაარსი. საკმარისია მარტო ზეზეურად გადაიკითხოთ ეს ბარათები, რომ ნათლად წარმოიდგინოთ ბავშვების სულიერი ტრაგედია. გაზეთი სწერს:

ბარათების კითხვის დროს თქვენ ყურადღებას იქცევს ახალგაზდა თვითმკვლელთა გულკეთილობა. ყველანი პატიებას თხოულობენ. მაგალითად ქალთა გიმნაზიის მესამე კლასის მოსწავლის (თავი დაიხრჩო) ბარათში მარტო სამი სიტყვა სწერია: „გთხოვთ, მაპატიოთ ყველაფერი". ეს სიტყვები სხვა და სხვა სახით თითქმის ყველა ბარათშია. მხოლოდ სამ-ოთხ ბარათიდანა სჩანს, რომ ბავშვებმა იმედის დაკარგვისათანავე ყველაფერი შეიძულეს, გაბოროტდნენ. მაგრამ ამ ბარათებშიაც უიმედობა უფრო გამოსჭვივის, ვინემ სიძულვილი და ყურადღებას ისევ სიტყვა „პატიება" იქცევს.

„მაპატიე, ძვირფასო მამა, რომ თავი მოვიკალ, სწერს ერთი ქალი. შენის გულისათვის მერჩ ვიძიებ. ყველანი მეჯავრებიან. სიცოცხლე მომძულდა...

„მაპატიეთ... დაწყევლილო ქვეყანა... ნუ გამამტყუნებთ... მშვიდობით", სწერს სემინარიის მეორე კლასის მოწაფე.

საინტერესოა სამოქალაქო სასწავლებლის მესამე კლასის მოწაფის ბარათი. ეს მოწაფე მატარებლის ქვეშ ჩავარდა. იმის დედიდან ფული დაუკარგავს და მერე თავის ძმის-წულზე აუღია. ამ ამბავს ამხანაგებამდისაც მიუღწევია და დაცინვა დაუწყიათ. ბავშვს ვერ აუტანია ეს და მატარებლის ქვეშ ჩავარდნილა.

„მშობლებო!—ათავებს ის თავის ბარათს:—მე მართალი ვარ, ჩემი მსაჯული ღმერთია. ძმის ცხენცია მე თვითონ ვიყიდე იმ ფულით, რომელიც ყოველთვის მქონდა და რომელსაც თქვენ მაძლევდით. ვკვდები იმ იმედით, რომ ეს სხვებისთვის გაკვეთილი იქნება. რამდენი კვდება ცილისწამების გამო. მე მალიან ამაყი ვარ და არა მსურს, რომ თუნდ ტყუილადაც ქურდად გამომიყვანონ. ყმაწვილებო და ჩვენი სასწავლებლის მოსწავლენო, მაპატიეთ... მე სხვანაირად არ შემეძლო მოვქცეულიყავ".

„მევისწავლე გეომეტრია,—სწერს რეალურ სასწავლებლის მეექვსე კლასის მოწაფე.—(მართლაც მევისწავლე) წავედი სასწავლებელში და არ ვიცი, რა მიზეზით ცუდად მიუგე გაკვეთილი. ამის შემდეგ იმედი დავკარგე. სულ იმაზე ვფიქრობდი, რომ თავი მომეკლა და ამან ხელი შემიშალა მესწავლა. რომელსაც მეორედ კიდევ ცუდად მიუგე მასწავლებელს, სამოლდად გადავწყვიტე თავის მოკვლა... რა მინატრული ვარ, რომ სამოსწავლო წელი ხელახლად დაიწყებს და სწავლა ახლად დავიწყე.

მრეწველნიან მასწავლებლებისა, ამხანაგებისა და მშობლებისა. ყველანი ფიქრობენ, რომ ვზარმაცობდი, მაგრამ ეს ტყუილია, უიმედობამ დამღუპა და იმიტომ მივიღე ცუდი ნიშნები... გერმანულში ტყუილად დამისვეს ორი... ვნახოზ, რომ არ ვისწავლე, მაგრამ რას ვიზამ! საქმე გათავებულია, არ ვარიში უნდა გავაზწორო. არ შემიძლიან ერთი მაინც კარგი საქმე მოვიგონო,—ხწერს იმდ დაკარგული მოწაფე.—კარგი საქმე არ მახსოვს და მაინც ვცდილობდი."

სხვა ქმაწვილები სწერენ „ზნეობრივად განცალკევებაზე", „უიმედობაზე", „ცხოვრების უფერულობაზე", „ცხოვრების აუტანლობაზე".

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

13 აგვისტო

### ს პ ა რ ს ე თ ი

**ლონდონი.** „ტაიმსს" თეირანიდან დეპეშით ატყობინებენ: 800 შეიარაღებული ყაჩაღი თავს დაეცა სოფელს, კერმანიდან 50 ვერსის მანძილზე. მცხოვრებლებმა კოშკს შეაფარეს თავი. ყაჩაღებმა ალყა შემოარტყეს კოშკს.

სპარსეთის ბანკის მოხელე რაიტი და ინდოელ-ევროპიელების კომპანიის ტელეგრაფის მოხელე ჯემსი უფრო დიდ გასაჭირში არიან, ვიდრე ამას ინგლისის კონსული იუწყება.

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტოს ატყობინებენ: გაზეთ „მეჯლისის" სიტყვით პრინც ზილი-სალთანემ თანხმობა განაცხადა ნაციონალისტების ფონდის სასარგებლოდ 600,000 მანეთს გადაიხდის.

### საზღვარ-გარედ.

**ბეტენი.** ჰაეროსტატების გაჯიბრებაზე დასასწრებლად ჩამოვიდნენ: პრეზიდენტი ფალიერი მეუღლით, მინისტრ-პრეზიდენტი ბრიანი და ფოსტისა და სამხედრო მინისტრები.

**ბრენი.** გაფრინდა რამდენიმე ჰაეროსტატი. ჰაეროსტატი „პოლ-ანი" 12 წუთსა და $32^{2}/_{5}$ წამში გაფრინდა 10 კილომეტრი. მიწიდან 100 მეტრის სიმაღლეზე მიფრინავდა ლატამის ჰაეროსტატი. ლატამი 30 წუთსა და $2^{1}/_{2}$ წამში გაფრინდა 30 კილომეტრი. ყველაზე დიდი მანძილი ბლერიო გაფრინდა.

**მადრიდი.** მელილიიდან გაზეთებს ატყობინებენ: ესპანიის ცხენოსანი ჯარი ემზადება მავრებზე გასალაშქრებლად. მავრებმა თავიანთი პოზიციები წინ წასწიეს. ესპანელების ცხენოსან ჯარს დახმარებას სამხედრო გემები გაუწევენ.

### რ უ ს ე თ ი

**ნიჟნინოვგოროდი.** გუშინ, 12 აგვისტოს, დააპატიმრეს სოციალ-დემოკრატების ნიჟნინოვგოროდის ორგანიზაციის წევრები. პოლიციამ წაიღო ბევრი, დასაბეჭდად გამზადებული მასალა, და პროკლამაციები.

**ყაზანი.** ტრეტიათა გორას ქუჩას ორი ბოროტგანზრახველი თავს დაეცა მაღაზიას. პოლიციას და ბოროტგანზრახველებს შეტაკება მოუვიდათ. სასიკვდილოდ დასჭრეს ერთი ბოროტგანზრახველი, მეორე დააპატიმრეს.

**ტერიოკი.** ხელახლად დაიწყო გარჩევა გერცენშტეინის მოკვლის საქმისა. პირველად ჩვენება ჩამოართვეს იუსკევიჩ-კრასკოვსკის. იუსკევიჩ-კრასკოვსკიმ განაცხადა: „ჭეშმარიტ რუსთა კავშირს" სამხედრო რაზმები არა ჰყოლია, იარაღს მიტომ ვიძენდით, რომ თავის დაცვა გვსურდა, გერცენშტეინის მოკვლის შესახებ არაფერი ვიცით. ამის შემდეგ წაიკითხეს ლარიჩკინის ჩვენება. დ. ლარიჩკინმა სთქვა, რომ ჩვენება ნამდვილად ისეა ჩაწერილი, როგორც მე ვთქვით. როგორც ჩვენებიდან სჩანს, გერცენშტეინის მოსაკლავად ტერიოკში წასულან იუსკევიჩ-კრასკოვსკი, კაზანცევი, პოლოვნევი, კაზარინოვი და ლარიჩკინი. სახარჯო ფული მათთვის გადაუცია გუბეროვს. თითონ ლარიჩკინს მონაწილეობა არ მიუღია მკვლელობაში. გერცენშტეინი მოუკლავს კაზანცევს. ამავე ჩვენებიდან სჩანს, რომ იუსკევიჩ-კრასკოვსკის ლარიჩკინისთვის და „კავშირის" სხვა წევრებისთვის რამდენჯერმე მიუცია გერცენშტეინის, ალადინის და სახელმწიფო სათათბიროს სხვა დეპუტატების სურათები. ერთხელ პოლოვნევს წაუყვანია ლარიჩკინი, უჩვენებია გერცენშტეინი და ურჩევია მოეკლა გერცენშტეინი. დიდი კამათი გამოიწვია დუბროვინის, იუსკევიჩ-კრასკოვსკის და სხვების დამცველის ბულაცელის შუამდგომლობამ, გამოჰკითხეთ ჩემ მიერ წამოყენებულ მოწმეებსო. სასამართლომ არ შეიწყნარა ეს შუამდგომლობა, რადგან ბულაცელის მიერ წამოყენებულ მოწმეებს მოწმობა არა ჰქონდათ, რომ სამართალში არა ყოფილან მიცემულნი. სასამართლომ აგრეთვე უარჰყო ბულაცელის მეორე შუამდგომლობა იუსკევიჩ-კრასკოვსკის თავდებით განთავისუფლების შესახებ. სასამართლომ დაადგინა: საქმის გარჩევა 9 სექტემბრისათვის გადასდოს, წინადადება მისცეს დუბროვინს გამოცხადდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ძალით მოაყვანინოს და სხვა.

### ხ ო ლ ე რ ა

**პეტერბურგი.** დღე-ღამეში ავად გახდა 25, გარდაიცვალა 9, ავად არის 341 კაცი.

---

**„დროების" სურათებიანი დამატება, დღესასწაულისა გამო, კვირის ნაცვლად გამოვა ხვალ, 15 მარიამობისთვეს. შინაარსი ამ სურათებიან დამატებისა: „უეცარი ტალღა",—დრ. 4 მოქმ. ლევან მეტრეველისა; სურათები: სევერიან ჟუღელი, „გამარჯვებული რევოლიუციონერები სპარსეთში", „რევოლიუციონერები ბარიკადას აგებენ ბარცელონაში", „ციხე, სადაც რევოლიუციონერები დაამწყვდიეს ბარცელონაში", „დატყვევებულთა ცოლ-შვილი".**

---

# ახალი ამბავი

### ტ ფ ი ლ ი ს ი

**✦ ქალაქის თავის ჩამოსვლა.** გუშინ პარიზიდან ბათუმის მხრით ტფილისში დაბრუნდა ტფ. ქალაქის თავი თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი. სადგურზე შეიკრიბნენ ოჯახის წევრნი, ქალაქის თავის მოადგილე, გამგეობის წევრები, ქალაქის მდივანი და რამდენიმე სხვა პატივისმცემელი. 9 საათზე მოვიდა მატარებელი. ყველანი სიხარულით მიეგებნენ თავ. ჩერქეზიშვილს, როდესაც იგი ვაგონიდან გამოჩნდა. მიულოცეს კარგად დაბრუნება. თავ. ჩერქეზიშვილმა თავის ფეხით შესძლო ვაგონიდან ჩამოსვლა. ხანგრძლივ და მძიმე ავადმყოფობას თავისი ბეჭედი დაუსვამს: დასუსტება და დაქანცულება ეტყობოდა.

**✦ ემიგრანტ-სომხების დაბრუნება.** „რუს. სლოვოს" ბათუმიდან დეპეშით ატყობინებენ: „ფოთში პოლიციამ სომეხ-ემიგრანტებს, ოსმალეთის ქვეშევრდომებს განუცხადა, რომ ისინი ერთი თვის განმავლობაში წავიდნენ საზღვარ-გარედ. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველას ეტაპით გაგზავნიან".

**✦ წარმომადგენელნი საგუბერნიო თათბირზე.** 11 აგვისტოს გუბერნატორის თავმჯდომარეობით მოხდა სხდომა ერობის შესახებ საგუბერნიო ბიუროსი. ლაპარაკი იყო იმაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს არჩევნები იმათი, ვინც მიწვეულნი იქნებიან საგუბერნიო თათბირებზე, რომელიც შემოდგომაზეა განზრახული. ამ თათბირზე მიწვეულნი იქნებიან 32 წარმომადგენელი გლეხთა, 32—მემამულეთა, ორი—ტფილისის ქალაქისა, 7—გუბერნიის სამაზრო ქალაქებისა, 2—სასულიერო წოდებისა, 2—ბირჟისა და 9—ზაქათალისა. სულ 120 კაცი. ბიურომ შემდეგი გზა აირჩია: მომრიგებელ შუამავლებს დაევალებათ შეჰკრიბონ გლეხთაგან სოფლის მოსამართლენი თავიანთ რაიონებში და მათ აარჩევინონ წარმომადგენელნი; მემამულეებთაგან თითეულს მაზრაში წარმომადგენელს მარშლები აირჩევენ. ამ წარმომადგენლების გარდა კავკასიის ნამესტნიკისაგან თათბირში მონაწილეობას მიიღებს 13 კაცი. ვინც ეხლა სექციებში მუშაობენ, იმათგან ბევრნი იქნებიან მიწვეულნი.

**✦ თეატრის იჯარა.** ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას ამ ჟამად მოლაპარაკება აქვს თავად-აზნაურთა სადეპუტატო საკრებულოსთან იმის შესახებ, რომ თეატრი იჯარით დრამატიულ საზოგადოებას გადაეცეს. საკრებულომ დაადგინა, შეეკითხოს საზოგადოების გამგეობას, რა პირობით სურს აიღოს თეატრი. ამ დღეებში გამგეობა შეიმუშავებს პროექტს პირობისას და წარუდგენს საკრებულოს. პრინციპიალურად საკრებულო წინააღმდეგი არ არის, რომ თეატრი იჯარით დრამ. საზოგადოებას გადაეცეს.

**✦ ტფ. სახელოსნო სასწავლებელი.** კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა ტფ. ქალაქის სასწავლებელთა გამგეობას გაუგზავნა შენიშვნები ტფ. სახელოსნო სასწავლებლის შესახებ. მზრუნველი ამბობს, არც ერთ ჩემ მიერ დათვალიერებულ ნაშრომს არა აქვს დამთავრებულ საქმის სახე. ბევრი ნაწარმოები სრულებით არ შეესაბამება კურს დასრულებულ ხელოსნის თანაშემწის ცოდნას. სადურგლო სახელოსნოში ნივთები ულაზათოდ და ცუდად არის გაკეთებული. საჭიროა კურს დასრულებულებს საექსპერტო კომისიამ მოსთხოვოს, რომ სამუშაოს რიგიანად ასრულებდნენ.

**✦ მასწავლებლის გადაყვანა.** ტფ. ქალაქის სასწავლებელთა კომისიამ უკანასკნელ სხდომაზე განიხილა მოწერილება სახალხო სკოლის ინსპექტორისა. ინსპექტორი სწერს კომისიას, ვერის 1 საქალაქო სასწავლებლის მასწავლებელი ქ-ნი სუხოცკისა სხვა სასწავლებელში გადაიყვანეთო. მიზეზი ისა ყოფილა, რომ სკოლის გამგეს შესტაკოვისას და სუხოცკისას ხშირად უსიამოვნება მოსდით თურმე. კომისიამ დაადგინა, დაავალოს თავმჯდომარეს, მოელაპარაკოს ქ-ნ სუხოცკისას, რომ სხვა სასწავლებელში მოსძებნოს ადგილი.

**✦ უპასპორტოები.** 12 აგვისტოს პოლიციის მე-3 ნაწილში ჩხრეკის დროს დააპატიმრეს 16 უპასპორტო კაცი; სოლოლაკში დააპატიმრეს 12 კაცი, ხოლო ხარფუხში—7 კაცი.

**✦ მუშის სიკვდილი.** სადგურ მცხეთიდან გვატყობინებენ: გუშინ, 12 აგვისტოს, ღამის 12 საათზე, სად. მცხეთის მახლობლად იპოვნეს სოფელ ზემო-ჰალის მცხოვრების, სადგურ მიხაილოვის დეპოს მუშის გიორგი ბეროს ძე ლაცაბიძის გვამი. ლაცაბიძე მატარებლიდან გადავარდნილა და მატარებელს შუაზე გაუწყვეტია. ლაცაბიძეს ჯიბეში აღმოაჩნდა 52 მან. 75 კაპეიკი და სეზონის ბილეთი.

**✦ მესამე სექცია.** 12 აგვისტოს ერობის შესახებ მესამე სექციამ დაადგინა, დაევალოს სექციის წევრს ექიმს ვესელოვზოროვს, შეიმუშაოს დასაბუთებული მოხსენება იმის შესახებ, თუ რატომ არ არის სასურველი, რომ ტფილისის ერობაში მიღებულ იქმნას პრინციპი უმცირესობის უფლების დაცვის შესახებ. სექციამ დაადგინა აგრეთვე, მოიწვიოს სექციის სხდომებზე ოთხი ახალი კაცი. მ. გედევანიშვილი, ეირანოვი, ქალანთარი და ტარატინოვი.

**✦ დრამატიული საზოგადოება** როგორც ვწერდით, სურამში არსდება ქართული დრამატიული საზოგადოების განყოფილება ... ბი ... კულტურისა...

**✦ წყლის მილი სიღნაღში.** მთავრობამ დაამტკიცა სიღნაღის ქალაქის თვით-მმართველობის დადგენილება, რომლითაც გერმანიის ქვეშევრდომს ჰენრიხ იანცევიჩს ნება მიეცა გაიყვანოს სიღნაღში წყლის მილი.

**✦** სოფ. მარტყოფში სეტყვას ვენახები დაუსეტყვია. ზარალი ოთხს თუმნამდეა.

**✦** დღეს, 12 აგვისტოს, საღამოს 8 საათისათვის ქალაქის გამგეობის სადგომში დანიშნულია სხდომა ერობის მეორე სექციისა.

**✦** 12 აგვისტოს დააპატიმრეს საგენერალ-გუბერნატოროდან გადასახლებული და თავის ნებით დაბრუნებული მიხეილ საჯოვი.

**✦** ტფ. გუბერნატორის განკარგულებით დაჯარიმებულ იქმნენ: მედუქნე ლევან მისინაშვილი 10 მან., ივანე უდუმოვი და ბიჭურინი თითო თითო მანეთით. მიზეზი სავალდებულო დადგენილებათა დარღვევაა.

**✦** კრიბოედოვის ქუჩაზე მცხოვრები ალექსანდრე სმირნოვისა მთვრალი დაბრუნებულა 12 აგვისტოს და სახლის პატრონისათვის მოუთხოვნია დამბა. სახლის პატრონს იარაშენკოს დამბა მოუწოდებია, მაგრამ ძალზე მთვრალ სმირნოვისას ხელზე დაუჭრავს იარო. შენკოსათვის და დამბა ხელიდან გაუგდებინებია. მსწრაფად ავარდნილა ადა და სმირნოვისას შემოსდებია. დაშავებული ქალი საავადმყოფოში გაგზავნეს.

---

**შეცდომის გასწორება.** გუშინდელ ნარკვევის პირველ სვეტში, ქვევიდან მეოთხე სტრიქონში სწერია: „ამის აღიარება, თქმა არ უნდა, „ეროვნულ ხასიათის ბრძოლის" აღიარებას არა ნიშნავს". ამის მაგიერ უნდა იყოს: „ამის აღიარება, თქმა არ უნდა, „ეროვნულ ხასიათის **კლასთა** ბრძოლის" აღიარებას არა ნიშნავს".

### ქ უ თ ა ი ს ი

**✦ კონცესია წყლის გამოსაყვანად.** კვირას, 9 აგვისტოს, მოხდა ქალაქის საბჭოს საგანგებო კრება, რომელზედაც გადასწყდა: ქუ...

---

# ეტიუდები ქართულ ლიტერატურიდან

**ა. ყაზბეგი (ა. მოჩხუბარიძე).**

(შემდეგი *)

II

რა გულთა-მხილავი იყო ყაზბეგი თავისის გმირებისა, ამას მზალოს სულის ვითარების აღწერა გვიმტკიცებს. ეს ქალი უცნაურად იქცევა. ეჭვი არ არის, მას უყვარს ელგუჯა, ეჭვი არ არის, არ უღალატებს, მაგრამ მათი ეს სიყვარული გადაგვარებულის ევროპიელის ფლირტი კი არ გახლავთ ანუ სიძვა—იგი სხვაა. ამ მოხეთქილს ძალას ბუნებრივის ასე ადვილად ადამიანი ვერ დაჰხვდება. მზალო, რომელიც გრძნობდა, რომ ამ საშინელის გრძნობის სატრფო საგნად გამხდარა, სულ გულგრილად ვერ უყურებს მას და, ვინ იცის, დრო და ხანი რას იზამდა, რომ ავტორს მეტად ტლანქი ხერხი არ ეხმარა ამბის ლამაზად დამთავრებისათვის. ის თვით უდიდეს ტრაგიკულ მომენტს, უდიდეს წერტილს დრამატიულის ბრძოლისას სწყვეტს და სპობს სრულიად გარეშე მოვლენის ჩახჩირებით. პირველად და უკანასკნელად იხმარს ამ საშუალებას თავისს პირველ მოთხრობაში ყაზბეგი, თუმცა უკვე თავისთავად ცხადია, რომ მათიას გულში და თავში ელგუჯას სიკვდილი თითქმის გადაწყვეტილია და მკვდარია მისი ხელით, მაგრამ მზალო, მზალო, რომელიც ნაზად სტირის, რომელიც ზიზღის მაგიერ უზომო სიბრალულით არის აღსავსე მათიას მიმართ, მზალო, რომელიც თითქმის ურიგდება ელგუჯას სიკვდილს, რადგან მას სიტყვებში არა სჩანს სისასტიკე და სიმკაცრე; მზალო, რომელიც მათიას ფიცს ელგუჯას სიკვდილის შესახებ, ასეთ ღიმილ პასუხს გასცემს:—„რათა, რა დაუშავებია იმას შენთვის? რას ემართლები!.. ძმასავით გიყურებს... მე მომკალ!"—მზალო მეტქი რას იზამდა? ამით ვცნობდით სადამდის მიდიოდა ავტორის შეხედულება სიყვარულის სიძლიერეზედ. ავტორი ამით გვითავებს მოთხრობას: არავინ იცის, რითი გათავდებოდა ეს ამბავი, თუ კარების ბრახუნი არ მოჰსმოდათ.

გადაშალეთ „ციცია" და იქაც ნახავთ თქვენ ქალს, რომელსაც უყვარს ერთი, ხოლო მეორის გატაცებულის, თავდავიწყებულის, გაშმაგებულის გრძნობის წინაშე მოჯადოებული სდგას და, ეჭვი არ არის, მის და უნებურად, მისდა შეუგნებლად მის ბუნების ჯურღმულსა და უფსკრულში უკვე სწარმოებს მიძრაობა, ამ ძლიერ ძალისაგან გამოწვეული მოძრაობა და მღელვარება, რომელიც მორჩილის თანაგრძნობით არის აღსავსე და ნეტარის გაოცებით შემკული. ძალა სიყვარულისა ისეთი რამ არის ყაზბეგის თვალში, რასაც უძლეველად მომხიბლელი თვისება აქვს, მისი წინააღმდეგობა არავის შეუძლიან, თვით უფრო ურჩი და უკმეხი ამ ქალის წინაშე ქედს იხრის და მუხლს იყრის.

შეძლებულ მთიელის ქორღოყორს ქალს ციციას და მის მწყემს ბეჟიას ერთმანერთი უყვართ, თუმც ქორღოყო ამის წინააღმდეგია. ციციას გაიტაცებს განთქმული თავისის ვაჟკაცობით, ჩეჩენი სულთი. ციცია და სულთი ძმად გაიფიცებიან, რაკი ციცია გაუმჟღავნებს სულთის თავის გულის საიდუმლოს და ცხარე წინააღმდეგობას უცხადებს მასთან კავშირზე. ბეჟიას და ციციას თვით სულთი დააქორწილებს. ქორღოყო კი სულთის საჩივარსა და ძებნაში მრავალ ფულს დახარჯავს პრისტავსა და დიანბეგებთან და თრევა წანწალში კიდევაც და ავადმყოფდება. ბეჟია მოსძებნის მას საავადმყოფოში, წამოიყვანს სახლში და ბედნიერს ცხოვრებაში არიან. თუ რომ „შავი ყორანი", რომელიც ამ დროში მთიელთა მცხოვრებს მოსვენებას არ აძლევდა, არ მოვლენოდა ამათაც და მათი ბედნიერება არ მოესპო. საქმე იმაშია, რომ ქორღოყოს ქრთამებისა და „გასამრჯელოს" გაღებაში ვექსილებიც გამოსტყუეს და როცა ერთმა ქრთამის აღებმა პრისტავმა „აპრაკუნემ" უცნაური ანგარიში წარუდგინა და ცხვრის ფარის აწერა მოინდომა, ბეჟია პრისტავს შეედავა, „მთავრობას წინააღმდეგობა გაუწია" და ყაზახმა რუსებმა მოჰკლეს. სულთი შურს იძიებს, „აპრაკუნე" პრისტავს მოჰკლავს, ხოლო ციციას კი გაიტაცებს ამ სიტყვებით, „წავიდეთ, სიცოცხლე კიდევ შესაძლებელიაო". აქაც მეტად საინტერესო ფსიხოლოგიური მოვლენაა აღწერილი. ციციასა და ბეჟიას ერთმანერთი უყვართ, ისე როგორც იციან სიყვარული ამ ბუნების შვილებმა, მთელის თავის არსებით, მთელის გრძნობის სიღრმითა და სიძლიერით:

იმათ ლაპარაკითაც კი არ ულაპარაკნიათ ამ საგანზედ. სიყვარულ-მოდებული გული ჰგრძნობდა, რომ ერთმანეთს თანაუგრძნობდნენ და ერთმანეთის თვალის შეკვრა სხვებისთვის შეუმჩნევლად რჩებოდა, მაგრამ იმათთვის კი აშკარა ლაპარაკი, კითხვა და პასუხი იყო. ჩუმის, სხვისთვის შეუმჩნეველ გრძნობის გაცვლა-გამოცვლა ისე უალერსებდა იმათ, ისე სანუგეშოდ და სასიამოვნოდ ეჩვენებოდა, იმდენს იმედს და სიამოვნებას ჰპირდებოდა, რომ ნებაუნებლივ გაუფიქრებლად ერთმანეთისკენ მიიზიდავდა, ერთმანეთს აჟბნინებდა.

ამ დროს, როდესაც აზრი, გონება, სული, გული, მთელი არსება სიყვარულის საგნის დაახლოვებით არის მოცული, როდესაც ყოველ ჟამს და ყველგან სატრფო გეხატება; რას შეტრფი, რას ეალერსები, ჰხედავ ის აქვე არის, შენს გვერდით იქმნება, ყოველ დღე ჰნახავ, ყოველ დღე დასტკბები მისი ხილვით, ყოველ დღე თრთოლით მოელოდები იმ წუთს, როდესაც ეტყვი: „შენი ვარ"...—ღმერთო, რა სიამოვნება უნდა იყოს?! სწორედ ამ მდგომარეობაში იყო ციცია, როცა მამა მისის ცივი გარდაწყვეტილება მოისმინა „ჩემს ქალს ისევ ჩემის ხელით დავმარხავ და მოჯამაგირეს კი არ მივცემ."*)

მაგრამ ციციაც რისი მთიელი ქალი იყო, რომ ამგვარის გარდაწყვეტილების შეშინებოდა. პირ-იქით, მამის ასეთმა აზრმა მოაახლოვა წუთი მათის შეერთებისა, გრძნობა გაარკვია და გაამწვავა და ბეჟიას მიმართ მისთვის სანატრელის გადაწყვეტილებით; — „გამიტაცეო", მტკიცედ, გარდაწყვეტით განიმეორა ციციამ. და თუ აქნამდის ორი მიჯნური შორის იდაგებოდნენ, ეხლა მათ შეერთებას, მათ ფიზიკურად დაახლოვებასაც კი აღარა უშლიდა-რა ხელსა.

მაშ, გიყვარვარ, გიყვარვარ?—ახლოს მიწევით წარმოსთქვა ბეჟიამ და **ათრთოლებული ხელი, თითონვე არ იცოდა, როგორ მოჰხვია ქალს წელში.**

ქალი ჩუმად იყო და ცახცახი კი ამტკიცებდა, **რომ კითხვა აღარ ეჭირვებოდა.**

— მიყვარხარ, მიყვარხარ, ღვთის მადლსა.— ეჩურჩულებოდა ბეჟია და **თან და თან იზიდავდა თავისაკენ.** ქალმა პასუხის მაგიერ წყნარად შეჰხედა, შეჰხედა ერთს წამს, სწრაფად, და ეს საკმარისი იყო, რომ ბეჟიას დაეძახა: **„ჩემო ყველავ"? და გიჟსავით მიეკრა გულში.**

ქალი არ ეწინააღმდეგებოდა და ეკროდა გულში. **ორთავეს ერთგვარი ცეცხლი მოსდებოდათ, ორთავეს თავი დაჰვიწყებოდათ, ორნივ ერთის გრძნობით ანთებულიყვნენ—და ეს გრძნობა იყო სურვილი ერთმანეთში გარდაექციათ, ერთს მეორესთვის ჩაედგა თავისი სული და ორის საგნიდგან ერთს განუყოფელ საგნად გარდაქმნილიყვნენ.**)

აი, მთელი ფილოსოფია სიყვარულის გრძნობისა. ამ გრძნობაში ჩვენ ვეძიებთ ჩვენს დამატებას, ჩვენს მეორეს, ჩვენს საუკუნო ობლობისა და სიმარტოვის დასაფლავებას და გარდაქმნას, რათა „მე" და „ის" ერთ არსებად გარდაიქცეს, ორი ერთ ხორც და ერთ სულ გარდაიქმნეს. ჩვენის აზრის, ჩვენის მისწრაფების, ჩვენის საუკუნო ძიების, საუკუნო დაუშრეტელის წყურვილის დაკმაყოფილებას ველტვით, ამ მეორეში, მეორე „მე"-ში ვფიქრობთ ვიპოვოთ ჩვენ საუკუნო ნავთსადგური ჩვენის აღშფოთებულის, აბობოქრებულის სურვილისა და ვნებათა-ღელვისათვის, და ესევე გრძნობა აერთებს ბეჟიასა და ციციას. მათში ეს გრძნობა თუმცა უფრო შეუგნებელი და გამოურკვეველია, მაგრამ მით უფრო ძლიერია, მით უფრო საშინელია და მით უფრო ფატალური. მათთვის ყველაფერს ეკარგება მნიშვნელობა ამ დიადის მოვლენის წინაშე. აი, თუ გინდა ზემო აღწერილ შემთხვევაშიაც. ციცია სახლიდან გაიპარა, ბეჟიასთან დაუგვიანდა, ამას კი ხალხი სხვაგვარად შეჰხედავდა, ჩირქიც მოეცხებოდა არა თუ ციცას და მის ოჯახს, მთელს გვარეულებას:

**მაგრამ რა საქმე აქვს ხალხთან სიყვარულით აღგზნებულს გულს, როდესაც სატრფოს ხელშია, როდესაც მის მიკარებით თრთის, კვნესის, ხარობს და იტანჯება.**

შეყვარებულებსაც ყოველისფერი გარდავიწყებოდათ და **მისცემოდნენ მხოლოდ ერთს გრძნობას, რომელიც ისე სასიამოვნოდ უცვლიდებდა.**

კიდევ და კიდევ აღვნიშნავთ იმას, რომ ყაზბეგს სიყვარულის ხორციელი, მისი ფიზიოლოგიური მხარე პირველ პლანზედა აქვს დაყენებული. იგი არის სახე, სიმბოლო, მხატვრული გამომჟღავნება დიადის, საიდუმლო გრძნობისა, უცნაურობითა და გამოუცნობილის მხიბვლელობით აღვსილის მოვლენისა, რომელიც ქვაკუთხედია სიცოცხლისა და ცხოვრებისა. იგი ამაში მთლად ერთიანად შვილია ქართულის პოეზიისა, რომლის ლეიტ-მოტივი ალექსანდრე ჭავჭავაძეს აქვს გამოთქმული:

„მგრძნობელობა სჯობს ყოვლად თვისებათ, ცით მოვლენილთა:
„შვენებასაც და გონებასაც ის ასულდგმულებს.

და მთლად, მთელი „ვეფხვის-ტყაოსანი", ეს მნათობელი მზე, დაუშრეტელი უკვდავების წყარო ჩვენის ლიტერატურისა და პოეზისა,—განა თვით იგი მთლად ერთიანად სავსე არ არის ამ „მგრძნობელობით"? ყოველი სტრიქონი, ყოველი ტიპი ვნებითა და სურვილით არის აღსავსე, თუმცა მთლად ერთიანად სიწმინდითა და სიმშვენიერით არის შემოსილი, იმ სიმშვენიერით, რომელიც მეორე ჩვენს პოეტს ათქმევინებს, რომ „თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარეობსო". გაიხსენეთ აბა ზოგიერთი ტაეპი „ვეფხვის-ტყაოსნისა", სადაც მგრძნობელობა თვით ტარიელისა, ამ სიყვარულის გმირთა გმირისა, ხორციელება მისის სიყვარულისა თვით უკიდურესს სახეს ღებულობს, თუმც არც ერთს წუთს იგი მგრძნობელობა არა ჰკარგავს სინაზისა და სიტურფის ნიადაგსა.

ასეთის გრძნობით ტყვე-ქმნილი სულთი ციციას გაიტაცებს. სულთიც მთლად ერთიანად შმაგია, ე. ი. მიჯნური იგი მთლად გაძღენთილია სიყვარულის გრძნობით, რომელიც ათასჯერ უფრო მწვავეა მით, რომ ტრფობის საგანი გულგრილია. მართლაც ყოველივე დიდი თუ

*) იხ. „დროება", N 178.

*) „ციცია", გვ. 314—315.

**) „ციცია", გვ. 318—319.

თაისში წყლის გაყვანის კონცესია მიეცეთ ინჟენერებს ი. დადიანს და ა. კანცელს, რომელთაც პირობის დაწერიდან ორი წლისა და ორი თვის განმავლობაში უნდა გამოიყვანონ წყალი. უნდა იხმარონ ფილტრებით დაწმენდილი რიონის წყალი. დ ა. ნაზაროვის წინადადებით, საგანგებო კომისიას დაუთვალიერებია ქუთაისიდან მერვე ვერსზე მდებარე წყაროები: ფაცრის წყალი, ღრუდე და ქიშურა და დარწმუნებულა, რომ ეს წყაროები მისცემენ ქალაქს დღეღამეში არა უმეტეს 220,000 ვედრო წყლისა. ეს წყალიც ფილტრებით უნდა დაიწმინდოს. კომისიას საჩვენებლად თან თან წამოუღია ხსენებულ წყაროებიდან თითო ბოთლი წყალი, რომელიც საბჭოს დარბაზში სდგას; ამ ბოთლების გვერდით სდგას ერთი ბოთლი რიონის წყალიც. უბრალო შეხედვით დარწმუნდება კაცი, რომ რიონის წყალი უკეთეს ღირსების უნდა იყოს, ვიდრე ხსენებულ წყაროების წყალი: ბოთლში რიონის წყალი დაწმენდილა და სრულიად ანკარაა; წყაროს წყლები კი თუმცა ცოტათი დაწმენდილა, მაგრამ კიდევ მღვრიეა და მოყვითალო ფერი აქვს. დროგუიოვსკისა და შაფფის წინადადება წყლის გამოყვანის შესახებ უყურადღებოდ იქმნა დატოვებული. სხდომის გათავების შემდეგ ქალაქის გამგეობამ დეპეშა გაუგზავნა ბ-ნთ დადიანსა და კანცელს, რომ ჩამოვიდნენ ქუთაისში პირობის დასაწერად. ქუთაისის საზოგადოება დიდის სიხარულით მიგება ამ გადაწყვეტილებას, რომელიც მიღებულ იქმნა 29 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ ერთი ხმისა.

✦ **ნიხრის შემცირება.** ამავე სხდომაზე საბჭომ შესაძლოდ სცნო პურისა და ხორცის ნიხრების თითო კაპეიკით შემცირება. პურისათვის დაწესდა შემდეგი ნიხრი: პირველი ხარისხის პური ოყა—13 კაპ., მეორე ხარისხისა—12 კაპ. და მესამესი—11 კაპ.; ხორცისათვის კი შემდეგი: სხვა ქვეყნებიდან მორეკილ საქონლის ხორცი პირველი ხარისხის თითო გირვანქა 11 კაპ., მეორე ხარისხისა 10 კაპ.; ადგილობრივ საქონლის ხორცი: პირველი ხარისხის—9 კაპ., მეორე ხარისხის—8 კაპ.; ხბოს ხორცი—12 კაპ., მოზრდილი ხბოს და ცხვრის ხორცი 11 კაპ., ღორის ხორცი 10 კ., კამეჩის ხორცი 7 კაპ. და სუკი 19 კაპ. გირვანქა.

# მოწერილი ამბები

**სამტრედია.** სამტრედია სწრაფად ვითარდება და ქალაქს ემსგავსება. მის განვითარებას ხელი შეუწყო, რასაკვირველია, რკინის გზამ. იმ ადგილას, სადაც დღეს სადგურია, იმის გარშემო ნახევარი საუკუნის წინად არავინ სახლობდა. აქ გაუვალი ტყე იყო და მის მიდამოში მხოლოდ მგლები, ტურები და გველ-ბაყაყები გრძნობდნენ თავის თავს განცხრომაში. დღეს კი აქ მთელი დაბაა. გადიდდა აღებ-მიცემობაც. სამტრედია პირმშო შვილია რკინის გზის ლიანდაგისა და მის მიერ გამოწვეულ მეურნეობის განვითარებისა. განვითარდა სამტრედია და დღეს საჭირო გახდა სხვა-და-სხვა ქალაქურ დაწესებულების დაარსება.

ამ სამი-ოთხი თვის წინად იმ გარემოებამ, რომ სამტრედიაში ხუარგებული ხილი და მწვანეულობა შემოდიოდა, გამოიწვია მწვანე ბაზრის გამართვის საჭიროება. მიიღეს კიდეც სათანადო ნება-რთვა, მაგრამ—დახეთ უბედურებას!—ხხუბი მოუვიდათ ადგილის არჩევაში. ზოგებს ის უნდოდა, რომ მწვანე ბაზარი იმის დუქნის წინ გამართულიყო, ეს კი მოუხერხებელი იყო, გამწვავებული ბრძოლა გაიმართა „აღმოსავლეთელებისა“ და „დასავლეთელების“ შორის. დიდის აყალ-მაყალის შემდეგ სძლია „აღმოსავლეთელებმა“ და მწვანე ბაზრისთვის ბინა დაინიშნა ბაზრის აღმოსავლეთის ნაწილში. მთავრობამაც დაამტკიცა. დროებით დასავლეთელები მიეუხნდნენ იმ იმედით, რომ სულ ერთია ხალხი, რომელიც მიჩვეულია ბაზრის დასავლეთ ნაწილში ვაჭრობას, აქვე ივლისო. მაგრამ დღეს ნათლად დაინახეს, რომ არჩეული ბინა მწვანე ბაზრისთვის საუცხოვოდ მოაწყეს არჩეულმა პირებმა და ვაჭრობაც ახალ ბინაზე გადვიდა. დაფაცურდნენ „დასავლეთელები“, მაგრამ გვიან-და იყო. მათ ჯერ-ჯერობით შერჩათ მხოლოდ ხორცის დუქნები, მაგრამ ისინიც იძულებულნი შეიქმნებიან გადმოვიდნენ ახალ ბინაზე. იმ კვირაში ერთხელ კიდევ გაუღიმათ ბედმა „დასავლეთელებს“. მათ გამოუჩნდათ დარახველიძე, რომელმაც იმ რაიონში ორი დუქნის შენება დაიწყო, და იმედი მისცა მათ, რომ დაამარცხებდა „აღმოსავლეთელებს“. აყაყანდნენ ისევ „დასავლეთელები“, დარახველიძის რჩევით გაგზავნეს ქადაგდი გუბერნატორთან, აცნობეს, ვითომ აღმოსავლეთელებმა ძალით მოაწერინეს ხელი საზოგადოებას, და სთხოვდნენ შველას. ამ გარემოებამ გამოიწვია ქუთაისის მაზრის უფროსის ჩამოსვლა სამტრედიაში 9 აგვისტოს. მაზრის უფროსმა ჯერ გაიცნო საქმის ვითარება და შემდეგ ურილობაზე გამოაცხადა, რომ დანიშნულ ბინას არ ასცილდება მწვანე ბაზარი და ხორცის დუქნებიც იქ უნდა გადავიდნენო. ამნაირად დღეს-დღეობით დამარცხდნენ „დასავლეთელები“, მაგრამ ვინ უწყის რა იქნება ხვალ. ყური მოვკარი, რომ „დასავლეთელები“ ყოველ საშუალებას იხმარებენ, ოღონდ თავიანთ კერძო ინტერესები დააკმაყოფილან და დიდ ფულსაც აკრავებენო. ეს ფული რათ უნდათ, არ ვიცი...

კვირას ურილობაზე მაზრის უფროსმა გამოუცხადა საზოგადოებას: ერთ კამპანიას სურს ელექტრონის ტრამვაი გაიყვანოს ქუთაისიდან ხონამდე და ხონიდან სამტრედიამდეო. აუხსნა რა მისი მნიშვნელობა, მან გამოსთქვა სურვილი, რომ ამ საქმეში ადგილობრივ შეძლებულ მცხოვრებლებმაც მიიღონ მონაწილეობა ზაების შეძენით და ნახევარი შემოსავალი მაინც დარჩეს ადგილობრივ მცხოვრებთ. საზოგადოება დაჰპირდა, მოვასხდენთ ურილობას და სათანადო ოქმს შევიმუშავებთო.

**კრუხი.**

# მაროს დღეობა

(სოფლის ცხოვრებიდან)

— უი! უი! უი!—შეჰკივლა სამჯერ ვეშაპივით გაგრძელებულმა მატარებელმა, ერთი მძიმედ ამოიხვნეშა და დადგა სოფელ მ—ის ბაქანთან.

— აბა ჩქარა ბატონებო, ვინც გადასასვლელი ხართ, გადადით!

— ჩქარა, თორემ მატარებელი დაიძვრება!..

— გადიტანეთ ეს თქვენი ბოლჩა!..

— დაიცათ, მე გიშველით!

გაისმოდა სხვა და სხვა ვაგონში. მესამე კლასის ვაგონებში ზურგზე ბარგ აკიდებული ხალხი ერთმანეთს აწვებოდა. ყველა ჩქარობდა დროზე ძირს ჩასვლას.

— მაშ ეხლა ნახვამდის! ხვალ თერთმეტ საათზე აქ გადმოხტებით, ორ საათს ეტლით ივლით და ჩვენსა მოხვალთ. თუ ჩემი ძმაც შინ იქნება, მაშინ უყურეთ, რა დროს გაგატარებინებთ, ბატონო გრიგოლ! დანაპირევი არ დაგავიწყდეთ, ვინძლო კარგი მისალოცი მომიტანოთ! ხომ იცით...—უთხრა სიცილით მეორე კლასის კუპეში თანამგზავრებს მარომ.

— ვიცით, ვიცით, შენი დღეობაა!—დაასწრო ფანჯარაზე მიყრდნობილმა ქალმა.

— ნახვამდის ნინო, ვერა!

ქალებს აკოცა, ვაჟს ხელი მისცა და სწრაფად გაირბინა კუპე. გრიგოლი, ახალგაზდა სტუდენტი, პატარა შავი ჩამადნით ხელში, გაჰყვა ბაქანზე. ვაგონის კიბესთან ხელი მიაშველა, ქალი მარდად ჩახტა, მაგრამ მხარზე გადაგდებული საკვოიაჟი ვაგონის რკინას გამოედო, მატარებელი დაიძრა და ცოტას გაწყდა მარო ქვეშ არ მოიტანა. გადაარჩინა სტუდენტის სიმარდემ: იგი სწრაფად გადმოხტა, ღონივრად გასწია საკვაიაჟს და ღვედი გაწყვიტა. ქალი განზე გახტა, ჩამადანიც იმის მახლობლად დაეცა. სტუდენტი კვლავ შეხტა მატარებელზე. საღამოს ბინდში ვაგონში ცოტა ხანს კიდევ მოსჩანდა მწვანე ქუდი, რომელსაც სტუდენტის ხელი იქნევდა. მარომ, რაკი მარცხს გადარჩა, თავისუფლად ამოისუნთქა.

— დასწყევლოს ღმერთმა, კინაღამ არ დავიღუპე!—ჩაილაპარაკა, ჩამადანს დასწვდა, ცალ ხელში გაწყვეტილი საკვაიაჟი დაიჭირა, ცალში ჩამადანი და ქვევით დაეშო. მგზავრები ჩასულიყვნენ და სოფლიდან მოსულ დანჟღრეულ დატალახიანებულ ეტლებში სხდებოდნენ. როცა მარო თეთრის კოფთითა და განიერ ჩილობის ქუდით ბაქანზე გამოჩნდა, ერთმა ახალგაზდა კაცმა გასწია იმისკენ. თავი თეთრის ყაბალახით ჰქონდა წაკრული, ჩამოგლეჯილი ჩოხა და გაცვეთილი წუღები ვერ ამახინჯებდა იმის ახალ გაზრდა ლაზათიან სახეს.

— თქვენ ბრძანდებით ალექსი მედგარიძის ქალი?.. ჰკითხა მაროს.

— ჰო, მე ვარ. თქვენ ვინა ხართ?

— მე მამი თქვენის მოჯამაგირე გახლავარ, წამობრძანდით, ბატონო, ფაიტონი გიცდით....

— მამა ჩემი რატომ არ დამხვდა ან მელიტო არ ჩამოსულა?

— არა, ბატონო, ქუთაისში ბრძანებულა და ხვალე მოელიან. მამა თქვენი ხონში გახთათ და მე გამომგზანა ქალბატონმა.

მარომ შეჰხედა, თვალი დააყოლა იმის გაცვეთილ ჩოხას და გაჰყვა უკან.

— პლატონა, მოაყენე აქით!—დაუძახა ახალგაზრდამ მოეტლეს.

თეთრ ახალუხში გამოწკეპილმა მეეტლემ კოხტად მიაგდო ეტლი. მარომ ეტლს შეჰხედა, ესიამოვნა და გაუკვირდა კიდეც.

— რეზინიანია?..

— კი, ბატონო. ორი ფაიტონია ახლა ჩვენში რეზინიანი.

— ცხენებიც რომ კარგია!—სთქვა მარომ. ერთი თვალი მეეტლესაც გადაავლო და ეტლში ჩაჯდა.

— გეიწი პეტერეი!—უთხრა ბიჭმა მეეტლეს და კოფოზე შეხტა დასაჯდომად.

— არა, ძმაო, არა!... აგერ დაჯექი... ადგილი არ არის თუ?..

— არა, ბატონო.

— გეუბნები, აქ დაჯექი.. მა კაციც უნდა შეაწუხო მანდ და შენი თავიც.

მეეტლემ აღარ დააცადა ბიჭს, წინა სკამი ჩასდგა ეტლში, ისიც გადმოხტა, დაჯდა ზედ და ეტლი დაიძრა.

ამათ ლაპარაკში დანარჩენი მგზავრები გახვეწილიყვნენ. უკვე ბინდდებოდა. მარო მაინც არჩევდა ნაცნობ ადგილებს. სიამოვნებით უცემდა გული, რაკი ჰგრძნობდა, რომ ამღზრდელ კუთხეს უახლოვდებოდა. ყოველი ხის ტოტის სიახლოვე, ყოველი ფოთლის შეხება, რომლებს შორისაც მიჰქროდა ეტლი, სიხარულის ჟრუანტელს ჰგვრიდა. წელიწადი გახდა, რაც უკანასკნელად ამ გზაზე გაიარა, როცა გიმნაზია დაასრულა და რუსეთში მიდიოდა. მაშინ მთელმა ოჯახმა გააცილა მარო. მისი უფროსი ძმა მელიტო მეორე კურსზე მიდიოდა, ბაქანზევე დაშორდნენ ერთმანეთს, ის ბათუმით უნდა წასულიყო, მარომ ხმელეთით გასწია, ტფილისის სადგურზე ამხანაგები დახვდნენ და გაუდგნენ რუსეთის გზას. რვა დღის შემდეგ ცივ პეტერბურგში, ერთ პატარა ოთახში მაგიდასთან იჯდა და დედას სწერდა, როგორ მშვიდობით იმგზავრა.

მერე მთელი წელიწადი იქ გაატარა. თუმცა მაროს მამა შეძლებული იყო, მაგრამ გულ-კეთილი მარო მაინც ვერ გაექცა სტუდენტურ ცხოვრებას. როცა მშიერ ამხანაგებს უყურებდა, არ შეეძლო მაძღარი ყოფილიყო. დღეს მიღებულს ხვალ ამხანაგებს ურიგებდა, შემდეგ მათთან ერთად ითმენდა ცივ ოთახს, ხმელ პურს და მრავალ სხვა გაჭირვებას. ცოტა ხნის შემდეგ მან იშოვა გაკვეთილები მდიდარ და წარჩინებულ ოჯახში. მისი მოწაფენი, [illegible] დგნენ და [illegible] იმათსავე [illegible] და ჰქონ[illegible] ეძლეოდა და მამის გამოგზავნილს ისევე ამხანაგებს უყოფდა. გაზაფხულზე დაღლილობა იგრძნო, და რაკი იმ ოჯახმა წინადადება მისცა, რომ ბავშვებთან ერთად სააგარაკოდ კისლოვოდსკში გაჰყოლოდა, მანაც უარი აღარ უთხრა და მშობლებს მისწერა, ზაფხულში ველარ მოვალ, თუ მოვახერხე მარიამობას ჩამოვალო. ასეც მოიქცა. მარიამობის წინადღეებში წავიდა სამშობლოში, გზად ამხანაგებს შეხვდა და თავის დღეობაზე ისინიც მიიწვია.

ეხლა ყველაფერი წარმოუდგა მაროს, მოაგონდა შარშანდელი დღეც, ღამის თეობაც. ჯერ კიდევ გიმნაზიის კაბა ეცვა. სტუმრები ბევრი ჰყავდათ. ვახშმის შემდეგ მთელი ოჯახი სტუმრებიანად ღამის სათევში წავიდა. მარომ კარგი ლეკურის თამაში იცოდა და მაშინ უფრო მხიარულიც იყო. მაშინ გრიგოლს ჯერ კიდევ არ იცნობდა.

„თუ სტუმრები იქნებიან, ამაღამაც წავალთ,—გაიფიქრა გულში.—მაგრამ ის კიდევ რომ იქ იყოს და შარშანდელივით უსიამოვნება ასტეხოს?!“ მაროს შეაჟრჟოლა ტანში და უნებურად მიუბრუნდა მხლებელს...

— ორახელიძე კიდევ სოფელშია?—ჰკითხა.

— ვამეხი, ბატონო?

— ჰო.

— აპა, სა წევიდოდა!

— ცოლი არ შეურთავს?

— არა, ბატონო... უფრო და უფრო უმატა ღვინის სმას, ყოველ დღე ლოთობს შარშანს აქეთ...

სერგიამ,—ბიჭის სახელი იყო,—იცოდა შარშანდელი შემთხვევა, ვამეხ ორახელიძემ სახალხოთ რომ კინაღამ გააგდებინა თავი მაროს—გინდა თუ არა გამომყევიო. ყველაფერი იცოდა და მნიშვნელობით დაატანია: „შარშანს აქეთო“.

— შენ ვისი შვილი ხარ?—შესცვალა ლაპარაკი მარომ.

— მე მაქსიმი ხელაიას შვილი ვარ, სერგია... ველარ მიცნობთ?

— ჩვენი მეპურის? კიდევ ისე კარგ ლავაშებს აცხობს მამაშენი?

— კი, ბატონო, ახლაც თქვენსას გახთათ და უცხობდა ლევაშებს.

მარო გაჩუმდა და კვლავ ფიქრებს მიეცა. მაშ სოფელშია, ლოთობს, სჩანს კიდევ ვახსოვარ... ხვალ რომ რამე აუტეხოს გრიგოლს? ნეტავი არ მომეწვია... მაგრამ არა, ვისი უნდა

---

მცირე მოვლენა ცხოვრებაში ბრძოლაზე, მეტოქეობაზე არის აღგებული და ამისა თუ იმის სახეს ღებულობს. ბრძოლა მით უფრო მწვავეა, მით უფრო დაუნდობელი, ფიცხელი და გატაცებული, რაც უფრო მებრძოლნი სასტიკ წინააღმდეგობას აცხადებენ. განა ბეჟიას სჭიროდა დაეხარჯა იმდენი ძალა და ენერგია გრძნობისა, როცა პირველისავე შეხედვისთანავე მოწინააღმდეგე დაამარცხა, დაიმონავა და დაიმორჩილა? სულთის კი ამ ბრძოლაში გაასკეცებული ძალი სჭიროდა, უფრო მძაფრი შესევა და უფრო მძლავრად იარაღის ქნევა. თანაც იქ ციცია თვით სიამოვნებით კისრულობდა დამარცხებულის მონის როლს, სიმტკბილობით გაჭედილს უღელს სიხარულით იდგამდა და ბეჟიას გრძნობის სიფიცხესაც იმდენად ვერ იგრძნობდა. აქ კი ბეჟიასავით შეყვარებული, ესეც მთელი გამოჩენილი ვაჟკაცი სულთი მთელის თავის გრძნობის ძალითა და ენერგიით მიდიოდა მტერზე. და მტერი ამ გრძნობის ბრწყინვალებასა და სიდიადის წინაშე იდგა, თვალი მოჭრილი ჰქონდა მისის სხივით, მისის უცნაურის მომხიბვლელობის წინაშე იდგა და ძალაუნებურად ყრუდ, გაუგებრად მის არსებაში იბადებოდა გრძნობა აღტაცებისა და თაყვანისცემისა, რომელიც ერთის ბედნიერების მოსპობის შემდეგ სულთის გულს მიეყრდნობა და აგრძნობინებს უსიტყვოდ, რომ სიცოცხლე და ბედნიერება, სიყვარულით გაცისკროვნებული, კიდევ შესაძლებელია და მოსახერხებელი, ვინაიდან სიცოცხლე და ბედნიერება, სიყვარულით განახლებული, დაუსრულებელია და ვიდრე კი ადამიანის ბუნება ამას იტვირთებს.

და სრულს მის განკარგულებაში.

სულით გიჟდებოდა, იბნეოდა და **ანგარიშ-მიუცემლად, მოუსაზრებლად ქალისაკენ თავი თავის თავად ეხრებოდა,** მეტის სიამოვნებით ისიც **ხან წითლდებოდა და ხან ისევ ფერსა ჰკარგავდა,** თვალებს ჟუჟუნი და ელვარება ემატებოდა, **გული ძალზედ მოძრაობდა და ქშენა უძლიერდებოდა.** ის მიიზიდა რაღაცა უხილავმა **ძალამ და თითონაც არ იცოდა, რა რიგად და რა დროს ქალის ტუჩებს დაეკონა.**

ან კი შეიძლებოდა სულთი სხვა რიგად მოქცეულიყო, როცა თვით „ძალნი ციურნი“ ეხმარებოდნენ მის გრძნობების გამოჯავრებასა და გახელებას.

ქალს ძილმა დასძლია, წყნარად მიესვენა ხეს და თვალები დახუჭა... წყნარად სუნთქავდა და ცხვირის ნაზი ნესტოები ებერებოდა. გაცრეცილ სახეზედ ერთბაშად ფერმა შეითამაშა და თხელმა ტუჩებმა მომხიბლავად გაიღიმეს: ეტყობოდა ზურანში წასულს ქალს, რაღაცა სასიამოვნო სურათი ეხატებოდა, ამ წუთებში ციცია მეტად ლამაზი, მეტად მიმზიდველი იყო და ძნელად დარჩებოდა ისეთი კაცი, რომელსაც ეს სურათი ენახა და ედემის სიამოვნება არ ეგრძნო, გონება არ არევოდა და დამთვრალსავით გაბრუებულს თავი არ დაჰვიწყებოდა.

სულთის რაღა უნდა ექნა, თუ არა ის, რომ გატაცებით და თავ-დაწყებით ქალის ტუჩებს დაეკონა. ციცია შეურაცხყოფილი წამოვარდება, საყვედურის მეტს არას ეტყვის სულთის, მაგრამ მას ერთი სიტყვა აქვს სათქმელი, ათასნაირის კილოთი გამოთქმული, ათასნაირ ჰანგზე მომართული, რომელიც თავის მონოტონურის გამეორებით, შინაგანის სიღრმით და მრავალ ფეროვნებით, თვით უსაშინელესის მტრის გულსაც კი მოალბობს.

„— რას სჩადი უნამუსო?“—ეუბნება შემკრთალი გამოღვიძებული ციცია, რომელიც ზიზღით ხელს კრავს სულთის.

„— **იმას, რომ მიყვარხარ!**

— რისთვის მომხადე ლეჩაქი, რისთვის

ჰო და ციცია სულთის ხელში მომიტაცე?

— იმისთვის, **რომ მიყვარხარ! ისე მიყვარხარ,** ღვთის მადლმა, რომ **ჩემსავით არავის ეყვარები.**

ესაა, მთელი ლექსიკონი მაღალის გრძნობის გამოსათქმელად. მაგრამ მთელი რთული და მრავალ მხრივის არსება მშვენიერის ვაჟკაცისა აქ არ არის, რომ ყოველი „მიყვარხარ“ ისეთის მომხიბვლელობით შემოსოს, რომ ციციაც კი გააოცოს.

„**ქალის გული მგრძნობიარეა,**—გვეტყვის ავტორი,—**სულთის სიტყვებმა** (რა სიტყვებმა, მაგრამ ერთი სიტყვა ათასად მაჩვენა კილომ და გულისთქმამ მიჯნურისამ.—კ. ა.) ციციას **მიჯნური** მით უფრო შეაბრალეს, რომ **განთქმული ვაჟკაცი,** რომელიც **ათასჯერ პირზედ ღიმილით სიკვდილს წინ შეჰგებებია, დღეს ციციას წინ შეშინებული, აღელვებული, ფერ წასული იდგა და თვალებში** ცრემლი მორეოდა. **ჩეჩენი სულს ძლივს და იქცევდა, ხმა უკანკალებდა და პირში სიტყვა უწყდებოდა.**

სულთი მაჰმადიანია, იქნებ ეს აჩერებს ციციას, მაგრამ განა „რჯული საყვარლებს გააშორებს“ და თუ კი რჯული რამე დაბრკოლებას წარმოადგენს, განა სულთი კი „სიამოვნებით არ გამოიცვლის რჯულსაც და არ მოინათლება“? ციცია ეხლა ზიზღს სრულიად განაძევებს მისი სულიდამ.

**ციციამ შებრალებულის თვალებით შეჰხედა და პირი-სახეზედ დაეტყო, რომ ისიც სულთზედ ნაკლებად არ იტანჯებოდა, მაგრამ სანუგეშო პასუხი კი ვერ მოეხერხებინა.**—რაი გითხრა..., რაი ვქნა?—**მწარედ და ნაღვლიანად** წარმოსთქვა ციციამ.

ხედავთ ეხლა ნაღვლითა და სევდითაც კი აღივსება მისი სული, იმ კაცის საცოდაობით, რომლის მოხეთქილ გრძნობის სიძლიერეს ეს სხვისი სატრფოც კი მოუთოკავს და მოუხიბლავს. მისი კეთილშობილება, მისი სულის სიმაღლე განა უმნიშვნელოდ დარჩებოდა ციციასათვის. იგი ხომ სულთის ხელში იყო, რაც უნდოდა, იმას უზამდა. ამის მაგიერად

**გამძვინვარებული, გრძნობით დამთვრალი კაცი იმის წინ წყნარად და მოწიწებით იდგა და ვიზედაც ძალის ხმარება შეეძლო, იმასვე მოწყალებას სთხოვდა.** მეტად ჩქარი იყო ცვლილება, რომ ამ საქციელს ქალზედ მოქმედება არა ჰქონოდა და სიბრალულს არ აეტაცნა. მაგრამ რა უნდა ექმნა?

ერთად-ერთი საშუალება ძმად გაფიცვა იყო. კეთილშობილმა ვაჟკაცმა თავგანწირულებით მიიღო ეს მსხვერპლი, მაგრამ განა გონებას შესძლებია ოდესმე გული დაეთრგუნოს, ილ. ჭავჭავაძესი არ იყოს.

„ცუდად წარადგენს გონება მუნ
თვისთა ბრძნულთა თათბირთა,
„სადაცა გული მმართველობს, თვით
იპყრობს მისთა ადგილთა.

და ამიტომ და-ძმურის ამბობას მაგიერ:

ქალის მიკარებამ სულთის **თავი დაავიწყა ერთს წამს,** მხოლოდ ერთს წამს **გრძნობამ გაიტაცა და მთრთოლვარეს** ხელებით მიიკრა ძალზე აღელვებულ **გულთან.** თავი წყნარად მოეხარა, **ტუჩები შეალერსებას** აპირებდნენ, მაგრამ იმ წამში შეჰკრთა, უკან წაბარბაცდა და თავშეკავებულმა ხელების მიშველებით ქალი შეაყენა.*)

და აქაც გონება არაფერს შუაშია, გონება ვიცით რომ „მარადის ტრფობის ალს აუხოციეს“. თუ სულთიმ თავი შეიკავა იმიტომ, რომ ციცია მის გრძნობის მიმღები არ იყო, ჯერ კიდევ მისი არსება სხვისი მონა იყო და მის ალერსს მთელი თავისის პირადობით წინააღმდეგობას უწევდა. ციცია მისთვის ოცნება იყო, და მისი საალერსოდ გაშვერილი ხელებიც ოცნებას უნდა შეხებოდნენ, გინდ ლუსკუმას და ამიტომაც მისმა შეხებამ ნერვები მოაუდუნა და გრძნობა გაუყინა.

გადავდივართ ამ გულის წარმტაც ტანჯვითა და სევდით მოქარგულის დრამის განვითარების შემდეგს ხანაში.

სულთი ამის შემდეგ თავის თავს აღარ ეკუთვნის. მათიასი არ იყოს, იგი მოდუნებულია გრძნობით, დათენთილია, გული აღარ უცემს. როცა ყველა ირგვლივ მხიარულობს და ამ მხიარულებაში ციციაც ჩაბმულია, იგი მარტოკა სდგას.

მარტო სულთი იდგა გაჩუმებული გაყუჩებული, დაღონებული და საერთო მხიარულებას რაღაცა შესაბრალის მწუხარებით უყურებდა. იმისი გაცრეცილი სახე, ნაღვლიანი თვალები და დაფიქრებული პირი-სახე აშკარად ამტკიცებდა, რომ მისი გული რაღაც სევდას მოეცვა, შეეპყრო და, დამონებული, მკვნესავი, საერთო სურათისაგან მოეშორებინა.

სულთი მხოლოდ მაშინ მოცოცხლდება, მაშინ გამოიჩენს სიცოცხლის ნიშნებს, როცა ციციას დაინახავს.

**ერთბაშად სულთიმ გაიღიმა,** გაწითლდა და **სიხარულის ცეცხლი გამოუკრთა** თვალებიდან, რომელნიც ერთ მხარეს მისჩერებოდნენ.

და ეს იმიტომ, რომ „დაინახა ციცია, რომელიც ღიმილით მიდიოდა მისკენ, უცინოდა, რაღასაც ეუბნებოდა“. ციცია ეხლა აქტიურს როლის აღსრულებას კისრულობს, დიდის სინაზითა და ალერსით ექცევა სულთის, დიდ თანაგრძნობას იჩენს მის მიმართ:

„ძმავ, რისთვის მოგიწყენია?.. მე მინდა, რომ გამხიარულდე, ილხინო, ითამაშო... ჩემთან უნდა ითამაშო,—გარდაწყვეტით. თითქო ბრძანებით უბრძანა ციციამ და სულთიმაც მორჩილად შეჰხედა, შეჰხედა ისე, თითქო ისე ეუბნებოდა: „მიბრძანე რაც გინდა, განა უარი შემიძლიან“*).

ამ ხანაში არავინ იცის, სადამდის მივიდოდა და-ძმური გრძნობა, თუ ბეჟიას დაეგვიანებინა, მაგრამ რაკი ბეჟია დროზედ მივიდა, სულთიმ დააქორწილა ციცია და ბეჟია და გაისტუმრა. აქ ტანჯვა სულთის უმაღლეს წერტილამდის აიდის. და-ძმად გაფიცვა საქმეს არა შველის. სულთის გრ. ორბელიანის სიტყვები უნდა გაემეორებინა.

მრავალ გზის ვფიცავ, გივიწყო და ვქმნაცა ნება გონების,
მაგრამ როს გხედავ, გონების რჩევა სრულიად არ მესმის...
გული ხელმწიფებს და უფრო უძლიერესად შენ გეტრფის
და გულის მონათ შექმნილი გონებაც შენდა მოჰფრინვის.

ქორწილში ყველანი მხიარულობდნენ, მღეროდნენ.

**სულთიც,** სხვათა შორის, მღეროდა და თამაშობდა, **მხიარულებდა** და სვამდა, მაგრამ თუ თვალ-ყურს გაადევნებდით, აუცილად დარწმუნდებოდით, **რომ ეს ყველა თვალთათვის ხდებოდა,** მარტო სხვების შესატყუებლად, რადგანაც **მის სახეს ხანდისხან მხიარულობის ფარდა აეხდებოდა, და მის მაგიერ მწუხარება გარდაეკვროდა, გულიდან მწარე კვნესა აღმოხდებოდა,** მთლად გაფითრებული შეჰხედავდა ციციას მხიარულს, დარცხვენილს სახეს, უთრთოლდებოდა ტუჩში და თვალებში ისეთი სევდა გამოეხატებოდა, ისეთი, რომ კაცს გულს გაუძენძავდა.

ციცია კიდევაც გაისტუმრეს და სულთიმაც გააცილა.

სულთი დაღვრემილი, შეწუხებული მისდევდა ხარებს და მწარედ ეხატებოდა გაყრის სურათი, რომელიც თერგთან მიახლოვების უმალ უნდა მომხდარიყო...

იმას კარგად ესმოდა, რა ძნელი განსაცდელი ცხოვრებაც მიერგო, ესმოდა, რა უბედურიც შეიქმნებოდა ციციასთან დაშორების შემდეგ... ციციაც გაუნძრეველად იჯდა და თავის ძმად ნაფიცს აშკარად ამცნევდა უბედურებას. ისიც ითმობდა სურვილით—ხმა გაეცა. ენუგეშებინა ჩეჩენი... მაგრამ რა ეთქვა, რითი დაეყვავებინა, როდესაც აშკარად ჰხედავდა, რომ სულთის გულის მოძრაობა სრულიადაც და-ძმური არ იყო.

სულთიმ თავისი როლი რაინდისა ვერ აღასრულა. „გულის ქმნით შე-

*) „ციცია“, გვ. 355—561.

*) „ციცია“, გვ. 426—427.

მეშინოდეს, მხეცისა?.. არსადაც არ წავალთ, სახლში ვიმხიარულებთ და შინ როგორ მოგვეჭრება. მელიტოც ხომ შინ იქნება.

ეტლი მინდვრებს გასცდა და კვლავ დაბურულ ხეებში დაიმალა. თეთრი გზა-ტკეცილი გრძლად მიიკლაკნებოდა ხეივნებში.

— შესდექით!—დაიყვირა უეცრად მგრგვინვარე ხმამ, ორჯელ რევოლვერი გავარდა და მაღალი წარმოსადეგი ვაჟკაცი, ხელში რევოლვერით, გადმოეშო გზაზე და ერთის ფეხის დაკვრით შეახტა ეტლს. ორი ვილაცა შავჩოხიანი ცხენებს გადაეღობა წინ. მახლობლად ეტლი იდგა გზაში.

— გადმოდი!—უთხრა ქალს და ღონივრად წაავლო მკლავში ხელი.

მაროს თითქოს მეხი დაეცაო. იცნო, ეს ხმა, ეს ძლიერი და ღონიერი ხელი. ეს ხომ ვამეხი იყო...

— ბატონო, ვამეხ... რას ჩადით, ეს ხომ არ გეკადრებათ, ამით ხომ თავს იმცირებთ...—მიმართა მარომ და გაიწია ეტლის მეორე კუთხისაკენ.

— თავს იმცირებთ!..—გამოაჯავრა კაცმა და გესლიანად გადიხარხარა.— არა, ქალბატონო, ახლა ველარ გასჭრის თქვენი დამცინავი ღიმილი და დამცინავი ლაპარაკი, ბედმა ჩემ ხელში მოგიყვანათ...

— ცოცხალი თავით ვერ გაგატან, ბატონო! ღმერთო მომკალი, ქალბატონმა მე გამომაგზავნა!..—დაიწყო სერგიამ.

— დიდი ამბავი ყოფილა!.. შენი სისხლი არ მინდა, ბიჭო, ნუ გეშინიან ხელს არ მოგკიდებ, მარა, მოციქულობა კი უნდა წამიღო ჩემ სიმამრთან...

— ღმერთო! მიშველეთ, ხალხო... ეს მხეცია! — დაიკივლა მარომ და აიწია ეტლიდან გადასახტომად, მაგრამ ღონიერმა ხელმა ზე ასწია და, ხმა-ჩავარდნილმა მარომ მხოლოდ ფართხალი-ღა დაიწყო.

— ქალბატონო! ორახელიძეს მიძახიან, ვერაფერს გახდებით.—სთქვა ვამეხმა, როდესაც მარო ეტლში ჩასვა. —ბიჭო, სერგია, შენ პირდაპირ წადი შენ ხაზეინთან და უთხარი ჩემა გიორგათ: „არაფერს გთხოვდი ქალის მეტს, არ მომეცი შენი ნებით, დღეს ძალით წავიყვანე, ქალი ამელამიდან ჩემია. ასე უთხარი... შენ სტუდენტ ვაიშვილს არ აღებინებ მამულზე ხელს და ყორფელს არ დამიტკიცებ, გაძებინებ შენ ქალიშვილს სამ თვეს და მერე გაზიზინებულს ჩამოგიგდებ ეზოში თქვა. ახლა წადი!..—მიუბრუნდა ის თავის ეტლს და ჩახტა შიგ. ეტლი დაიძრა და სიბნელეში მიიმალა.

სერგია რომ გონზე მოვიდა, თავდამსხმელთა კვალიც კი აღარა სჩანდა. მეეტლეც გაშტერებული ედგა ცხენებს გვერდით..

მარიამ გარიყული.

(დასასრული იქნება)

## „წმინდანები“

ამას წინად ჩვენ მკითხველებს გავაცანით უვიცობის ერთი ნიმუში: სხვა და სხვა გაქნილები როგორ აცხადებენ თავიანთ თავს წმინდანებად და როგორ ატყუებენ და ჰყვლეფავენ უვიც ხალხს. ერთ ასეთ ამბავს ეხლა „ნოვაია რუსი“ გადმოგვცემს:

ამ რამდენიმე ხნის წინად პეტერბურგის მაძიებელ პოლიციას ხელმოუწერელი წერილი მოუვიდა. ატყობინებდნენ—ნევის პროსპექტზე, ამა და ამ სახლში სცხოვრობს ერთი ქალი მარიამ სტროგანოვისა, რომელიც თავის თავს „ღვთისმშობლად“ აცხადებსო. იმასთან არის ივანე გორბუშკინი, ანუ როგორც თითონ თავის თავს უწოდებს და სხვებიც უწოდებენ, „იოანე ღვთისმეტყველი“. პოლიციას იმასაც ატყობინებდნენ, რომ მარიამ სტროგანოვის სახლში დრო გამოშვებით ხლისტებას (სექტაა, რომელიც საშინელ გარყვნილებას მისდევს) კრებები იმართება, ლოცვის შემდეგ შეკრებილნი აქრობენ სანთლებს და ბნელაში ისეთ რამეს სჩადიან, რაც სოდომსა და გომორაშიც არ მომხდარა.

პირველ წერილს მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე. პოლიცია ჯერ ყურადღებას არ აქცევდა ამ წერილებს, მაგრამ რადგან ბოლო დროს უცნობებმა წერილების გზავნას ძალიან მოუხშირეს, საიდუმლოდ გამოძიება შეუდგა. გამოძიებამ მართლაც აღმოაჩინა „ღვთისმშობელი“. პოლიციამვე გამოარკვია, რომ „ღვთისმშობელი“ მარიამ სტროგანოვისა რამდენჯერმე ბრძანებულა ციხეში და ისიც სხვა და სხვა აფერისტობისთვის. შემდეგ გამოირკვა, რომ მარიამ სტროგანოვის სახლში ყოველ დღე აუარებელი ხალხი დაიარებოდა. შეკრებილებთან „ღვთისმშობელი“ თეთრ ტანისამოსით და ძვირფასად მორთულ ჯვერთხით გამოდიოდა და იან ახლდნენ „წმიდა მოციქულები“. „ღვთისმშობელი“ „წმიდა მოციქულებითურთ“ სწირავდა თურმე, აძლევდა მწუხრსა და ცისკარს. დამტკიცდა აგრეთვე რომ ივანე გორბუშკინს, იგივე „იოანნე ღვთისმეტყველს“ მოციქულებში პირველი ადგილი ეჭირა და მარტო იმიტომ კი არა, რომ იგი „ქრისტეს საყვარელი მოწაფე“ იყო, არამედ იმიტომაც, რომ „იოანნე ღვთისმეტყველი“ იყოფოდა „თვით“ „ღვთისმშობლის“ სარეცელს, და აგრეთვე „შირთონცხებულ, უმწიკვლო და წმიდა ქალწულთა“ სარეცელსაც... ასეთი „მირონცხებული ქალწული“ კი ბლომად ეხვია გარს სტროგანოვას.

ყველა ამის გაგების შემდეგ პოლიციამ გაჩხრიკა „ღვთისმშობლის“ სახლი. მაგრამ ვერავითარი საეჭვო ვერა ნახა-რა. გამოძიების დროს თვით „ღვთისმშობელი“ არ უარჰყოფდა, რომ იგი წირვას აძლევდა, ილოცავდა ფსალმუნს და სხვა.

ამ საქმის გამოძიება ორ თვეს გაგრძელდა. მალე პოლიციამ იპოვა ერთი ხელმოუწერელი წერილის ავტორი, თურმე ნუ იტყვით, ის ყოფილა ერთდროს სტროგანოვას „იოანნე ღვთისმეტყველი“ ყოფილა. როგორც გამოირკვა „ღვთისმშობელმა“ „იოანნე ღვთისმეტყველი“ იმიტომ გადააყენებია, რომ იგი „სუსტი სულითის“ აღმოჩენილა. თუმცა ეს გადაყენებული „ღვთისმეტყველი“ სტროგანოვასთან ერთად მშვიდობიანად სცხოვრობდა, სარგებლობდა „ღვთისმშობლის“ სარეცლით, მაგრამ იგი მაინც არ დაკმაყოფილდებოდა მოხუცებულ „ღვთისმშობლით“ და ახალგაზრდა „უმწიკვლო, მირონცხებულ და წმიდა ქალწულებით“ და ხშირად დაეთრევა ბაღებში „ცოდვილ და მიწიერ“ ქალებთან დროს სატარებლად. „ღვთისმშობელს“ და „წმიდა ქალწულებს“ რა თქმა უნდა, არ მოეწონათ „იოანნე ღვთისმეტყველის“ ასეთი „ცოდვიანი საქმენი“ და დიდი ხნის მოთმენის შემდეგ „ღვთისმეტყველი“ „გადააყენებიათ“. ქუჩაში გაგდებული „ღვთისმეტყველი“ ძალიან დაღონებულა. ამაზე და გადაუწყვეტია შური ეძიებინა და თავის მოადგილე, ივანე გორბუშკინი ჩამოეგდო ამ დიდ თანამდებობიდან. ან როგორ არ ეწყინებოდა, როდესაც ერთ მშვენიერ დღეს „იოანე ღვთისმეტყველი“ უბრალო მომაკვდავათ გადაიქცა.

გამოძიება უკვე დასრულდა და საქმე პეტერბურგის ოლქის სასამართლოს პროკურორს გადაეცა. სხვათა შორის გამორკვეულა, რომ ხსენებულ „ღვთისმშობელს“ სტროგანოვას ორმოცდაორი „იოანე ღვთისმეტყველი“ გამოუცვლია...

## სპარსეთი

**მაჰმად ალისთვის სახლი იქირავეს ოდესაში**

სპარსეთის შაჰად ნამყოფისთვის ოდესაში ცნობილ ფაცფეინის სასახლე უქირავებიათ წელიწადში 48,000 მანეთად. ამ სასახლის დასათვალიერებლად და შაჰად ნამყოფისთვის ბინის დასამზადებლად ოდესაში პეტერბურგიდან ჩამოვიდა გარეშე საქმეთა სამინისტროს მოხელე.

**ზილი-სალთანე**

ზილი-სალთანეს ბედი ამნაირად გადასწყდა: მან 40 ათასი თუმანი შესწირა მთავრობას სახელმწიფო საქმეებისთვის და სამაგიეროდ ნება რთეს მიილო-სპარსეთიდან სადაც უნდა, იქ წავიდეს.

ცნობილი ეინუდ-დოვლემაც 100,000 მანეთი შეიტანა სპარსეთის ცარიელ ხაზინაში

**ახალი გაზეთი**

13 აგვისტოს ასტრახანში გაავრცელეს აუარებელი განცხადება იმის შესახებ, რომ მალე ახალი გაზეთი გამოვა თეირანში, ეს გაზეთი ხალხის ინტერესების გულმოდგინე მსახური იქნებაო. („ტ. ლ.“)

## ოსმალეთის ამბები

**აბდულ-ჰამიდი**

აბდულ-ჰამიდი თურმე მეტად წუნარადა ცხოვრობს ალატინის ვილაში და თავის პენსიიდან—თვეში 1,000 გირვ. ეძლევა—200—300 გირვანქას გადაანარჩუნებს ხოლმე ყოველ თვეს. სულთნად ნამყოფი მხოლოდ თავის ბაღზე ჰხარჯავს დაუზოგავად ფულსა: იგი იშვიათ, საუცხოვო მცენარეებს ზრდის ბაღში. აბდულ-ჰამიდმა ითხოვა, რომ მისი ვილა ელექტრონით გაენათებინათ, მაგრამ მთავრობამ უარი უთხრა: ძვირად დაჯდებაო. ალატინის ვილა მის საკუთრებას არ შეადგენს; ვილას ნამდვილი მფლობელი და პატრონი არის მესამე კორპუსი, და მთავრობამაც ეს ვილა მისთვის იყიდა 25 ათას გირვანქად.

**ქრისტიანების გაყვანა ჯარში.**

სახელმწიფო დეპარტამენტი ამ ჟამად გაჩქარებით ადგენს იმ არა-მუსულმან ყმაწვილ კაცების სიებს, რომლებიც წელსვე უნდა გაიწვიონ ჯარში.

**სერბების გიმნაზია.**

ოსმალეთის მთავრობამ ნება მისცა სერბებს ახალი შენობა აუშენონ საკუთარ გიმნაზიისთვის ქალ. სკოპლეში, ძველ სერბიაში. გიმნაზიის ძველი შენობა შარშან დაიწვა.

**არეულობა ალბანიაში.**

ალბანიაში ისევ დაიწყო არეულობა. ოსმალეთის მთავრობამ კაცები გაგზავნა ალბანელთა მეთაურებთან მოსალაპარაკებლად, მაგრამ ალბანელებმა უარი სთქვეს მოლაპარაკებაზე. ამის შემდეგ ოსმალეთის მთავრობამ ჯარი გაგზავნა ფერისოვიჩში ალბანელების რაზმის წინააღმდეგ. ამბობენ, ჯარმა ზარბაზანი დაუშინა ალბანელების ბანაკს. ალბანელების ზარალი ჯერ გამოკვლეული არაა.

**ახალგაზრდა ოსმალთა შეთანხმება „დაშნაკციუთუნთან“.**

„კასპი“-ს სტამბოლელი კორესპონდენტი ბ-ნი ალიევი სწერს, რომ ახალგაზრდა ოსმალთა კომიტეტმა მოლაპარაკება გამართა სომხეთა „დაშნაკციუთუნის“ კომიტეტთან და ეს მოლაპარაკება ამ დღეებში სრულის შეთანხმებით დასრულდაო. კორესპონდენტი სწერს:

„პროგრესისა და ერთობის“ კომიტეტის გავლენიანმა წევრმა დოქტორ ნაზირ-ბეიმ მითხრა:

„ოჰ! რომ შეიძლებოდეს გულწრფელ მკვიდრ შეთანხმების დადება სომხეთა და ოსმალთა შორის, რომ ისინი სრულის ნდობითა და სიყვარულით ეპყრობოდნენ ერთმანეთს! მაშინ ოსმალეთის დიდება და ძლიერება უზრუნველყოფილ იქნებოდა და არავითარი საკითხები და დავიდარაბა საშიში აღარ იქნებოდა მისთვის. მაგრამ სამწუხაროდ სომხებში ჯერ კიდევ ბევრნი ოცნებობენ სომხეთის დამოუკიდებელ სამეფოს დაარსებაზე! ამ ოცნების ასრულება რომ შეიძლებოდეს, კიდევ არას ვიტყოდით და შევურიგდებოდით მას, მაგრამ ყოველმა შეგნებულმა სომეხმა უნდა იცოდეს, რომ ეს ბოდვაა, თანაც საშიში ბოდვა, რადგან მას ადვილად შეუძლიან ოსმალეთი დაღუპვამდე მიიყვანოს, ხოლო თითონ სომხებიც ცარიელზე დასვას. ოსმალეთი სულაც რომ დაიმხოს, სომხებს მაინც არ ეღირსებათ დამოუკიდებლობა, რადგან ამას ხელს უშლის სომხების მცირე რიცხვი და ტერიტორიის უქონლობა. ხოლო სომხებმა რომ ოსმალებთან ერთად, თანხმობით იმუშავონ იმ საერთო სამშობლოს საკეთილდღეოდ, რომელიც მათ თანასწორ უფლებას აძლევს, ეს ორი ერი უზრუნველყოფდა ოსმალეთის აღორძინებას“.

ამ ლაპარაკის შემდეგ, შევიტყე, რომ „ერთობისა და პროგრესის“ კომიტეტს სალონიკიდან საგანგებო კომისია გამოუგზავნია სტამბოლში „დაშნაკციუთუნის“ პარტიასთან მოსალაპარაკებლად და ეს მოლაპარაკება უკვე სრულის შეთანხმებით დაგვირგვინებულაო“.

## საყოველთაო გაფიცვა შვეციაში

სხვა და სხვა წრის ქალებმა პეტიციით მიჰმართეს მთავრობას; ქალები თხოულობენ, რომ მთავრობამ შუამავლობა გასწიოს მრეწველთა და მუშათა შორის.

ავსტრიელმა მუშებმა 40,000 კრონი გამოუგზავნეს გაფიცულ მუშებსა, გერმანელმა სოციალ-დემოკრატებმა 44,000 მარკა; პროფესიონალურმა კავშირებმაც სამი მილიონი მარკა შეაძლიეს მუშათა კომიტეტს.

ავსტრიელ სოციალ-დემოკრატების გაზეთს ატყობინებენ სტოკჰოლმიდან: მრეწველები აგიტაციას ეწევიან, რომ მუშებთან მორიგებაზე მოლაპარაკება გაიმართოს.

## წერილი რედ. მიმართ

**(ტფ. სათავად-აზნაურო ბანკის შესახებ)**

ვისაც ტფ. სათავად-აზნაურო ბანკში რაიმე საქმე აქვს მამულების შესახებ, თუ მოცლილი კაცია, ხომ კარგი, თუ არა და ერთი-ორი თვით „ოტპუსკი“ უნდა აიღოს, რომ საქმე მოაგვაროს. ბანკში ვისაც რასმე შეეკითხები, ხელს მეორეზე მიგიშვერს, ზოგი გიბუზღუნებს კიდეც პასუხის მაგიერ.

ამას წინად საქმის გამო ბანკში შევიარე. მინდოდა შემეტყო ცნობები ავჭალის ქუჩაზე მდებარე მოვშოვიჩის მამულის შესახებ, რომელიც ორი-სამი წელიწადია ბანკზეა დარჩენილი. გამგეობის მორიგე წევრს ვთხოვე ქაღალდები, მანაც გამომიტანა საქმე, და დაუწყე შინჯვა. მცირე გასინჯვის შემდეგ შეკითხვა დამჭირდა ბანკის მოხელეებთან. მივმართე ერთს, როგორც დარჩენილ მამულების ცნობების მიმწვდენელს, მაგრამ მან პასუხი ვერ მომცა, საქმეებითურთ მიმიყვანა გამგეობის წევრ თავად ფავლენიშვილთან და თვითონ ისევ დაუბრუნდა თავის საქმეს. როცა თავ. ფავლენიშვილს შევეკითხე, რაც საჭირო იყო, იგი ამჟამად მე გადაგზავნილის კილოთი... [illegible] „...ვერ მოგცემთო“. დაავლო საქმეს ხელი და მივარდა მორიგე ქალს, რომელიც დატუქსა კიდეც. გვერზე ნაცნობი მედგა და შევეკითხე—მოხუცი ასე რად გაჯავრდა მეთქი. ბანკს თავისი „სეკრეტები“ აქვს და არავის უნდა გააგებინოო, მიპასუხა მან. საქმე, რასაკვირველია, მაშინვე კანცელარიაშივე შეატანინა, თვითონ დაბრუნდა და უკმაყოფილო კილოთი მითხრა—„თხოვნა შემოიტანეთო“. შეკითხვის პასუხი კი დღესაც მოდის, ვერ შევიტყე ვერაფერი.

ამ „სეკრეტებმა“ შეიძლება სულ დაღუპონ ბანკი. ალბად, „სეკრეტები“ იყო, რომ შარშან 360,000 მან. ჩანთქა და შემდეგ წელს კიდევ მოსალოდნელია ამაზე მეტი. ვეკითხებით ბანკის გამგეობას—განა საქმეების გაუსინჯავად სახლების ყიდვა შეიძლება? თქვე დალოცვილებო, ბაზარში შაურის ხურმას ხომ არა ვყიდულობდი? ასე რომ, ბანკში რომ კაცს სახლის ყიდვა უნდოდეს, ჯერ ერთი რეტი დაეხვევა თავს, ვიდრე მიიღებდეს ნამდვილ პასუხს და შემდეგ თურმე საქმეების გასინჯვაც აკრძალული ყოფილა. მაშასადამე, პირდაპირ უნდა მიხვიდე, დაუთვალო ბაჯაღლო ოქროები და იყიდო სახლი, სახეირო იქნება თუ არა, ამას მხოლოდ ყიდვის შემდეგ გაიგებ.

ივ. მჭედლიშვილი.


## განცხადებანი




(Метпль и К° N 181944) (3—6—2)

პირველი კერძო სამკურნალო
**დოქტ. ნავასარდიანისა**
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირეების გარდა
**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.

**უ. მ. ჩიქოვანი:** 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანახოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.

**ა. მ. ტურბოვიჩი:** 1—2 ნახ. საათამ საბებიო და ქალებისა.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ი. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6 ნახევ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. დ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დოქტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
(წ.—1—150)


„ქმნილმა“ კიდევ ერთხელ ჩააწვეთა ყურში ციციას მომწამვლელი სიტყვა „მიყორხარ“... იმას ეგონა, რომ შეიძლებოდა თავიდან მოშორება მოუსვენარის ფიქრისა, მაგრამ ამაოდ სცდილობდა სხვა საგანს დაჰკვირვებოდა, რადგანაც განუწყვეტლივ ციცია ეხატებოდა თვალ წინ, გული იმასთან შაერთებას ითხოვდა“. კიდევ ერთხელ „შეჰკრა თვალი ციციას, რომელიც თითქოს საყვედურით მისჩერებოდა და **ჩუჩენმა რაღაც უცნაური ძალა იგრძნო, რომელმაც ჟრუანტელივით გაურბინა ტანში და მწვავად აგრძნობინა თავის ძალა.**

სულთის სულის მდგომარეობამ იდუმალი შეუმჩნეველი გავლენა იქონია მექორწინეებზედ. თითქო ტრაგედიას გრძნობისას თავისი უკურნებელის სამსალით ყველაფერი მოეწამლა, ყველაფრისთვის სიცოცხლის ელფერი დაეკარგა, „თითქო ყველა რაღაც უბედურებას, უსიამოვნო შემთხვევას მოელოდა“. ციცია იტანჯებოდა, გული გადაელია „სულთის საბრალო მდგომარეობას ველარ გაუძლო“, და აი ურმისაკენ წავა დასაძინებლად (ისევ განმეორება თავდაპირველის სურათისა, მხოლოდ სულ სხვა პირობებში და სულ სხვა სახით) „ჩეჩენი რამდენჯერმე მივიდოდა ურემთან“, —სადაც ციციას ეძინა, რომლის მოვლა პატრონობა ჩვეულებით ძმობილს ეკისრნა.

„ახდიდა ფარდაგს და უნდოდა სატრფოს უკანასკნელად დალაპარაკებოდა, უკანასკნელად გაეგონა თავის მტანჯველი და დამატკბობელი ხმა, მაგრამ ქალს ისე ტკბილად ეძინა, ისეთი ანგელოზი სახე მოსჩანდა მთვარის შუქზედ, რომ სიამოვნების დარღვევა ვერ გაებედა. სულთი **გაშმაგებით ჩასცქეროდა სანატრელს სურათს და თვალი ვერ მოეშორებინა. ისა სტკბებოდა, ითვრებოდა ქალის** ცქერით, გადავიწყებოდა მთელი ქვეყანა, თავისი უწყუხარება, მომავალი და სრულს ბედნიერებას-და ჰგრძნობდა.

ერთბაშად ქალი შეინძრა, ნაზი ტუჩები კმაყოფილების ღიმილით გაეხსნა, თითქოს სატრფოს კოცნას ელოდნენ. ჩეჩნის მხურვალე ბუნებას მარტო ეს-ღა ეჭირვებოდა, რომ დამთვრალს, გონება-მიხდილს, გაბრუებულს მუხლები ჩაჰკეცოდა და აღგზნებულის ტუჩებით ციციას ტუჩებს შესწებებოდა.

აქ აღარც მთიელობამ უშველა სულთის, აღარც იმან, რომ „ბავშვობიდანვე გმირული ქცევა ყურში ჩაწვეთებული ჰქონდა და მისი ლალატი არ ესმოდა, ვერც კი წარმოედგინა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო“. დიაღ, მისი წარმოდგენა, მისი რწმენა, მისი სჯული—ეს სულ ყურ-მოჭრილი ყმა ხდება და მტვერად იქცევა დიდის მეფის, სიყვარულის ტახტის წინაშე. როცა ციცია მას მოღალატის სახელით მონათლავს, თავდაპირველად ვერც კი გაუგია, რით დაიმსახურა ეს სახელი.

„რაი ვქმნენ, რაი დამიშავდებიაო“, მაგრამ მაშინვე გონს მოვიდა და დაუმატა „ჰო, მართალი ხარო!“ „სულთი შესდგა... ძალზედ აძგერებული გული და მეტად აჩქარებული ქშენა თითქმის აღრჩობდა და სიტყვას უწყვეტავდა. და მერე განაგრძო

— მაგრამ რაი ვქმნა, რაი ჩემი ბრალია? რაისთვის ხარ ეგეთი ჯამაზი! ციცია უყურებდა გაშტერებული, საბრალულით; ისა ჰხედავდა გაშმაგებულს ლომს, რომელსაც მძვინვარება ვეღარ შეეყენებინა, ვეღარ დაემორჩილებინა: რაი გიყო, რაი ვქმნა? — ხელების მტვრევით და დაფანტვით წამოიძახა ციციამ.*)

აქა სწყდება ეს ბრძოლა ორ არსებას შორის, რომელშიაც ერთის ძალა თანდათან ძლიერდება, ლომდება და მძაფრდება და მეორე თანდათან მარცხდება, თანდათან მორჩილდება და ბოლოს დაფანტულია და ხელების მტვრევის მეტს ველარას ახერხებს. აქ უკვე ჩადებულია მაგარი საძირკველი იმ მომავალის ბედნიერებისა, რომელსაც კიდევ გამოცდიან სულთი და ციცია ერთად, როცა გარემოებები ხელს შეუწყობს, თუმცა არც ერთი არა თუ არ ცდილა მათის ხელის შემწყობი პირობების შექმნას, კიდევაც იბრძოდნენ მის წინააღმდეგ. უხილავმა ბედმა, გამოურკვეველმა მიმდინარეობამ ცხოვრების მოვლენისა გაუბედურებული. სიცოცხლე განახევრებული ციცია ისევ სულთის დაუსაკუთრა და როცა სულთიმ ახარა, რომ მისი ბეჟიას სისხლი გადახადა, ქალი **გადეხვია ჩეჩენს და კმაყოფილების ტირილით ჩაეკრა გულში.** ეჭვი არ არის, ამ დროს ციციას მთელი ადამიანური არსება კმაყოფილებით და სიამოვნებით ეძლეოდა ხელში იმ „გაშმაგებულს ლომს, რომელსაც მძვინვარება ვერ შეეყენებინა, ვერ დაემორჩილებინა“ და რომლის ძლევა-მოსილ გრძნობას დიდი ხანია თესლი ჩაეგდო ამ ნაზის ქმნილების გულში. „სიცოცხლე კიდევ შესაძლებელიაო“, დასძახა სულთიმ და ჩვენც ვგრძნობთ, რომ ისევ შესაძლებელია ბედნიერება და სიხარული მათთვის.

ეს ერთად ერთი მოთხრობაა ყაზბეგისა, რომლის შემდეგაც გამხნევებულის და დამშვიდებულის გულით მივდივართ, ვინაიდან გვწამს, რომ „სიცოცხლე, ბედნიერება“ კვალად შესაძლებელია, იგიც ცხოვრების ფატალური, აუცილებელი და საიდუმლო ძალია. ბუნება „სიკვდილით შეიქმს სიცოცხლეს“, ეს მისი წესი და კანონია და, მაშასადამე, ცხოვრებაც სანეტარო და სასიამოვნო, ვითა დაუსრულებელი მოძრაობა, მიმდინარეობა, დაუბოლოვებელი ცვლილება სიკვდილისა და სიცოცხლის შუა.

კიტა აბაშიძე.

(შემდეგი იქნება)

*) „ციცია“. გვ. 447—456.


## საბუხჰალტრო კლასსები

**ი. ფონ-ბრენნერისა**

დაარსებული 1890 წ. ტფილისში, ნაპერეჯნის ქ., ვერის ხიდთან.

სპეციალური საკომერციო სასწავლებელი ორივე სქესისთვის. მიიღებიან 15 წლისაზე არა უმცროსნი. ამ კლასსებში ამზადებენ ბუხჰალტრის, კორესპონდენტის, აგენტის და სხვა თანამდებობებზე მთავრობის, საზოგადოებრივ და სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებში. **სამაგალითო სასწავლებელი. საუკეთესო მასწავლებელნი.** 19 წლის განმავლობაში ათასობით ყმაწვილმა კაცმა გაათავა სწავლა, რომელთაც დღეს პასუხ-საგები ადგილები უჭირავთ. დაწვრილებით პროგრამმებში. თხოვნების მიღება უკვე დაიწყო. სწავლა 15 სექტემბრიდან. კანცელარია ღიაა ყოველ დღე. (15—8.—11)


სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3.

რედაქტორ-გამომცემელი ი. ხ. აგლაძე.